

დავით მინდორაშვილი

არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში



თბილისი 2009

სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი

დავით მინდორაშვილი

არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში

(ქარვასლა, სინაგოგა)

თბილისი 2009

უაკ (UDC) 902 (479.22-25)
მ-688

თბილისის წარსულის ამსახველი არქეოლოგიური ძეგლები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მათი გეგმაზომიერი გათხრები დედაქალაქის ძველი უბნების მჭიდროდ დასახლების გამო თითქმის შეუძლებელია. თბილისის ყველა არქეოლოგიური ძეგლი შემთხვევითაა გამოვლენილი. ამ აღმოჩენებს შეძლებისდაგვარად თან სდევდა მცირე მასშტაბის გათხრები. უკანასკნელ წლებში დედაქალაქის ძველ უბნებში ინტენსიური მშენებლობის წყალობით ხშირად ჩნდება და სამწუხაროდ ხშირად ნადგურდება კიდევ არქეოლოგიური ძეგლები.

ნაშრომი ეძღვნება ძველ თბილისში, კ. ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ქარვასლისა და სინაგოგის ტერიტორიაზე გამოვლენილი საინტერესო არქეოლოგიური მასალის პუბლიკაციას. ნაშრომი განკუთვნილია არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და საერთოდ, დედაქალაქის წარსულით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: ისტ. მეც. დოქტ. თ. ბერიძე

რეცენზენტი: ისტ. მეც. დოქტ. ქ. რ. რამიშვილი

ISBN 978-9941-0-1079-8

შესავალი

თბილისი, როგორც მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, ქართულ წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება IV ს-ის 60-იანი წლებისათვის, როცა სასანიანთა ირანის სახელმწიფო ქართლში პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისათვის იბრძოდა. «მაშინ მოვიდა ხუარ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისს და კულად ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა» [39, გვ. 944,5]. ცხადია, ძველი თბილისის ტერიტორიაზე პირველი დასახლება IV ს-ზე გაცილებით უფრო ადრე უნდა არსებებულიყო. თუ წერილობითი წყაროების მიხედვით მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელია თბილისის გადგედაქალაქებისა და მისი შემდგომი ისტორიის შესწავლა, ამას ვერ ვიტყვით არქეოლოგიურ მასალაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემდა თვალი გაგვედევნებინა დედაქალაქის განვითარების ძირითადი ეტაპებისათვის, განსაკუთრებით ადრეულ შუა საუკუნეებში.

თბილისის არქეოლოგიური შესწავლა გასული საუკუნიდან დაიწყო და მეტ-ნაკლები ინტენსიურობით დღემდე გრძელდება. გარდა ნარიყალაზე წარმოებული სამუშაოებისა, გასაგები მიზეზების გამო აქ დღემდე არ ჩატარებულა წინასწარ დაგეგმილი ფართო მასშტაბის გათხრები. ძველი თბილისის ტერიტორია მჭიდროდაა დასახლებული, რაც ამ ადგილებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოების საშუალებას არ იძლევა. დედაქალაქში შემთხვევით გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა და მის საფუძველზე ძველ

უბნებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები მხოლოდ ახალმშენებლობებთანაა დაკავშირებული.

ძველ თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ჯერ კიდევ XIX ს-ში ჩნდებოდა სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის არქეოლოგიური ძეგლები. ეს აღმოჩენები მაშინაც ძირითადად სამშენებლო სამუშაოებს უკავშირდებოდა. თუმცა, არც თუ იშვიათად ამ აღმოჩენებში განძისმაძიებლებსაც ჰქონდათ შეტანილი «წვლილი». ასეთ პირობებში, შემთხვევით მოპოვებული ნივთებიდან მხოლოდ ნაწილი ხვდებოდა მუზეუმში [დაწვრილებით იხ. 21, გვ. 126-129; 61, გვ. 89, 90].

ამჯერად შევხებით საკუთრივ ძველი თბილისის ტერიტორიაზე შემთხვევით გამოვლენილ ძეგლებსა და არქეოლოგიურ მასალას, რომელთაც ცალკეული უბნების მიხედვით განვიხილავთ.

ძველი ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, ზღუდის გარეთ მიმდებარე ტერიტორიაზე – გარეთუბანში, საჯარო ბიბლიოთეკის საძირკვლის ამოღებისას აღმოჩნდა ახ. წ. II ს-ის თიხის ჭურჭლები.

ახ. წ. II ს-ით თარიღდება სახელმწიფო მუზეუმის შენობისათვის გაჭრილ საძირკველში გამოვლენილი თიხის სამტუჩა ხელაძები [1, გვ. 74-76; 61, გვ. 89, 90].

იმავე ტერიტორიაზეა ნაპოვნი განვითარებული შუა საუკუნეების თიხის მილიანი ჭრაქი და მოჭიქული ჯამი [1, გვ. 77; 45, გვ. 78, 79]. კალოუბანში¹ აღმოჩნდა ძვ. წ. მიწურულის ბაქტრიული მონეტა [22, გვ. 162].

¹ გარეთუბანი მოიცავდა რამდენიმე მცირე უბანს: მუხრანბატონის, ორბელიანების, ცხრაპურას, წყლის კარის, ბოშის, ვანქის უბანს, კალოუბანს [8, გვ. 53].

რუსთაველის გამზირის №7-ში, იმ ადგილას, სადაც ადრე სასტუმრო «ინტურისტის» შენობა იდგა, სასტუმროს მშენებლობისათვის ქვაბულის ამოღებისას, მისი ჩრდილოეთი კიდის დასავლეთ ნაწილში თავი იჩინა თიხის ჭურჭლის ნატეხებმა. ამის შესახებ 2008 წლის სექტემბერში კომპანია «ჯი ემ თი კერძო საკუთრება»-მ აცნობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრს. ცენტრის თანამშრომლები (დ. მინდორაშვილი, ნ. სულავა, გ. გოგოჭური) 10 დღის განმავლობაში სწავლობდნენ აღნიშნულ ტერიტორიას. რიგი ობიექტური მიზეზების გამო, გათხრების ფართო მასშტაბით გაშლა ვერ მოხერხდა. შესაძლებელი იყო მხოლოდ რამდენადმე გაფართოება ქვაბულის ჩრდილოეთი კიდისა, სადაც ჭრილში რიყის ქვითა და კვადრატული, ე. წ. «ქართული აგურით» თიხამიწაზე ნაგები კედლის ნაშთი ჩანდა.

ტერიტორიის გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ საქმე გვაქვს ძველი თბილისის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის ნაშთთან. გათხრებისას გამოვლენილი მასალიდან აღსანიშნავია: თონეები, ქვევრის ნატეხები, ხელალები, ჯამები, სასანთლე, წერნაქით მოხატული თუ შეღებილი ჭურჭლები, მოჭიქული ბადია, ხელადა, ჯამები, ეკატერინე II-ის სპილენძის ხუთკაპიკიანი. იქვეა გამოვლენილი მწვანე ჭიქურის ლაქებით შემკული მცირე ზომის თიხის ქანდაკება, რომელიც ჩაცმულობის მიხედვით რუსის ჯარისკაცის გამოსახულება უნდა იყოს. ნაგებობა

არქეოლოგიური მასალის მიხედვით თარიღდება XVIII ს-ის მიწურულითა და XIX ს-ის პირველი ნახევრით.

1926 წ. ისანში შემთხვევით აღმოჩნდა თიხის 17 ჭურჭელი. მათ შორის გვხვდება როგორც მოჭიქული, ისე სადა კერამიკული ნაწარმი. 1929 წ. ისანშივე, სომხური დრამის თეატრის შენობის სამირკვლის ამოღებისას გამოვლინდა ჯამები, ხელადა, ჭრაქი, კოტომი და სხვა ჭურჭელი. ამ კოლექციებს XI-XIII სს-ს მიაკუთვნებენ [60, გვ. 145, 146, 159-162]. მთლიან ეგზემპლარებად შემორჩენილი ეს ჭურჭლები [60, სურ. 1, 2, 7, 8, 13, 15, 17] ჩვენ უფრო მოგვიანო ნიმუშებად მიგვაჩნია.

თბილისის არქეოლოგიურ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა 1948 წ. და ეს მოვლენაც ახალმშენებლობას უკავშირდება. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვახუშტი ბაგრატიონისეულ «ტფილის-სეიდაბადის» მიდამოებში [44, გვ. 33415, 3382], სამასი არაგველის სახელობის ბაღის ახალი ფართობის განაშენიანებისას დიდი რაოდენობით ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. იმავე წელს, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა თბილისის ისტორიულ-არქეოლოგიურად შემსწავლელი ჯგუფი (ხელმძღ. ო. ჯაფარიძე, შემდეგ გ. ლომთათიძე), რომელმაც 1948-1949 წწ. გათხრები აწარმოა სამასი არაგველის სახ. ბაღის ტერიტორიაზე, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღუდესთან. განათხარი ნაგებობა წარმოადგენდა ზღუდის კედელზე მიშენებულ სამეთუნეო სახელოსნოს, სადაც აღმოჩნდა კერამიკის გამოსაწვავი 7 ქურა. სახელოსნოს ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა წუნდებული პროდუქციის დიდძალი გადანაყარი გროვა [21, გვ. 119-170;

24, გვ. 75-121; 61, გვ. 89-100]. თბილისის კერამიკული სახელოსნოს განადგურებას უკავშირებენ თემურ ლენგის სასტიკ ლაშქრობას XIV ს-ის მიწურულს. როგორც ფიქრობენ, ეს უნდა მომხდარიყო 1386 წ. [55, გვ. 51-53; 63, გვ. 38-56]. სახელოსნოში გამოვლენილ მოჭიქულ კერამიკას საგანგებო გამოკვლევა უძღვნა მ. მიწიშვილმა [38].

1954 წ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ტყემელაშვილი) ნარიყალაზე ჩაატარა მცირე დაზვერვითი სამუშაოები [42, გვ. 17, 18].

1966, 1968-1970 წწ. ნარიყალაზე გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია [28, გვ. 77-83; 29, გვ. 38, 39; 30, გვ. 99-104; 74, გვ. 236-242]. გათხრებისას აღმოჩენილი საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არტეფაქტები ძირითადად გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნარიყალას არქეოლოგიური მასალა - წერნაქიანი და მოჭიქული ჭურჭელი, ფაიანსი, მინის ჭურჭელი, ნუმიზმატიკური მასალა, სათანადოდაა შესწავლილისპეციალისტების მიერ [30, გვ. 27-32; 3, გვ. 174-188; 37, გვ. 189-200; 32, გვ. 201-220; 48, გვ. 221-237; 58, გვ. 106-119].

2008 წ. მარტში, ახალმშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. მინდორაშვილი) მშე-

ნებლობისათვის ნებართვის გასაცემად, მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები აწარმოა ნარიყალას ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც №№ 3, 7 თხრილებში აგურის კედლების სახით გამოვლინდა გვიანდელი შუა საუკუნეების (XVII-XVIII სს) ნაგებობათა ნაშთები. იქვე აღმოჩნდა ნაგებობათა თანადროული თიხის ჭურჭლის ნატეხები.

1956-1957 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტსა და თბილისის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთობლივი ექსპედიცია (ხელმძღ. ო. ტყემელაშვილი, ი. გძელიშვილი) გათხრებს აწარმოებდა ერეკლე II-ეს სახ. მოედანზე, სადაც გამოვლენილ იქნა ძველთბილისური სამოსახლო. იქვე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სადა და მოუჭიქავი კერამიკა, სამეთუნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი თიხის სოლები, მინის ნაწარმი და სხვ. გათხრელები არქეოლოგიურ მასალას V-XVIII სს-ით ათარიღებდნენ [13, გვ. 30-43]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მასალის უდიდესი ნაწილი გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ამ მიდამოებში 1975 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გლდანის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ვ. ართილაყვა) სწავლობდა «გიორგი XII-ის სასახლეს» და მასთან მიმდებარე კარის ეკლესიას [64, გვ. 85, 86].

1988 წ. ერეკლე II-ეს მოედანზე გათხრები განაახლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ტყემელაშვილი). იქ გამოვლინდა შუა საუ-

კუნეების სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები და სარკოფაგები [76, გვ. 118-120].

1945 წ. არქეოლოგ ნ. ხომტარიას ანჩისხატის მახლობლად მიუკვლევეია მოჭიქული ჭურჭლების საინტერესონიმუმებისათვის. მათ შორის გვხვდება მრავალფრად მოჭიქული ფრინველისგამოსახულებიანი ჯამი [60, გვ. 148].

გასული საუკუნის 50-იან წლებში ანჩისხატის ეკლესიასთან, მამაცაშვილისა და ავლევის ქუჩებზე შემთხვევით აღმოჩნდა ნაგებობათა კედლების ნაშთები და შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა: თონები, ქვევრები, სადღვებლები, ქოთნები, ქილები, დოქები, ხელადები, ჯამები, ჭრაქები; წერნაქით შეღებილი ან წერნაქით დაწინწკლული დოქები, ხელადები; მოჭიქული ჭურჭლები; ფაიანსი და სხვ. [27, გვ. 21-23].

1956 წ. ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, ეკლესიის სამხრეთ კედელთან გაკეთებულ თხრილში აღმოჩნდა აგურისა და ქვის სამარხები. მათ ქვეშ თავი იჩინა ნასახლარის ნაშთებმა [13, გვ. 7].

1981 წ. ანჩისხატის ეზოშივე, მშენებლობისათვის ქვაბულის ამოღების დროს გამოჩნდა კვადრატული აგურით ნაგები მოზრდილი შენობის ნანგრევები. შენობა იდგა ანჩისხატის ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრზე. შემორჩენილი იყო მიწაში ჩამჯდარი ორისართული ნაგებობა უნდა წარმოადგენდეს დომენტი კათალიკოსის (1660-1675 წწ.) სასახლეს [12, გვ. 65-68].

1972 წ. თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თაოსნობით თაბორის მთაზე ჩატარდა დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღ. ო.

ტყეშელაშვილი). იქ გამოვლინდა თლილი ქვით ნაგები კედლის ნაშთი და შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები [43, №7, გვ. 1-10; №8, გვ. 1-12].

ანჩისხატის უბანში, შავთელის ქუჩის №22-24-ში, მშენებლობისათვის ქვაბულის ამოღებისას გამოვლინდა კულტურულ ფენათა ნაშთები. იქვე აღმოჩნდა აგურით ნაგები ორმოები, რომელთაც გამთხრელები ადრეულ შუა საუკუნეებს მიაკუთვნებენ [50, გვ. 23]. ორმოების ავტორებისეული თარიღები არაა მართებული. ისინი გვიანდელი შუა საუკუნეების თბილისისათვის ძალზე დამახასიათებელი ტიპიური ორმოებია. შესაბამისად, გვიანდელია ორმოებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალაც.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება გათხრები თბილისში, აზანოთუბანში ორმოცმოწამეთა ეკლესიის ადგილას (ხელმძღ. ო. ტყეშელაშვილი, 2006 წ. გ. დამბაშიძე). ამ ხნის მანძილზე იქ გამოვლინდა თბილისის არსებობის თითქმის ყველა ეტაპის ამსახველი კულტურული ფენები. განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი გვიანდელი შუა საუკუნეების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არტეფაქტები (სადა და მოჭიქული კერამიკა, ფაიანსი, მინის ჭურჭელი, ძვლისა და ქვის ნივთები, ნუმიზმატიკური მასალა). იქვეა გათხრილი ეკლესია, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები და სხვ. [67, გვ. 85-89]

ძველი თბილისის ტერიტორიიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალაც. გასული საუკუნის დასაწყისში მაიდანთან, ქარვასლის

მშენებლობის დროს აღმოჩნდა 700-800 ცალი სასანური და ბიზანტიური მონეტებისაგან შემდგარი განძი. სასანური მონეტები უპირატესად შედგებოდა ხოსრო II-ის (590-628 წწ.) დრაქმებისაგან. განძში იყო ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) დრაქმაც. ბიზანტიური მონეტების უმრავლესობა ეკუთვნოდა ჰერაკლე კეისარს (610-641 წწ.), ნაწილი - ირაკლი-კონსტანტინეს. განძი გაიფანტა [68, გვ. 19, 20].

1917 წ. ბოტანიკურ ბაღთან, მდებარე მაჰმადიანთა სასაფლაოზე აღმოჩნდა ქართული და ილდე-ლიზიდური მონეტების განძი, რომელიც შედგებოდა გიორგი III-ის, თამარის (1184-1207 წწ.) გიორგი IV ლაშას (1207-1223 წწ.) და თანადროული ილდელიზიდური მონეტებისაგან. განძი გაიფანტა.

1935 წ. კრწანისში აღმოჩნდა ქართული და უცხოური სპილენძის მონეტების განძი (1319 ც.). განძის შემადგენლობაში იყო: 1 ც. გიორგი III-ის (1156-1184 წწ.), 1312 ც. რუსუდანის (1223-1245 წწ.), 1 ც. ჯალალ-ედდინის, 1 ც. ბიზანტიის იმპერატორ ანასტასიოს I-ის (491-518 წწ.), 1 ც. ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.), 3 ც. ილდელიზიდი ათაბაგის აბუ ბაქრის (1195-1210 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტა. განძი ჩაფლული უნდა იყოს XIII ს-ის 30-იან წლებში.

1936 წ. ავლაბარში აღმოჩნდა ქართული და ილდელიზიდური სპილენძის მონეტების განძი, რომელიც შედგებოდა: თამარისა და დავით სოსლანის, გიორგი IV ლაშას, რუსუდანის რუმის სელჩუკიანი სულთნის ქეიქაუსის (1210-1219 წწ.), ილდელიზიდ

უზბეკის (1210-1225 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტებისაგან.

1937 წ. ყოფილ ე. წ. მადათოვის კუნძულზე აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი. განძი გაიფანტა. მისგან შემორჩა გიორგი III-ის სახელით მოჭრილი მონეტა და 1226 წ. ქართული მონეტებიდან გადაჭედილი ჯალალედ-დინის მონეტა [15, გვ. 504].

1953 წ. მეტეხის ხიდთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, შაჰ ისმაილის მეჩეთის ნანგრევების გაწმენდისას აღმოჩნდა განძი, რომლიდანაც 411 მონეტა მოხვდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქედან ერმიტაჟსა და ს. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმს გადაეცა 2-2, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმს კი 3 მონეტა. ამავე განძს უნდა ეკუთვნოდეს შემდგომში მუზეუმში შესული 6 მონეტა. ამ მონეტებს შემდეგ მიემატა იმავე ადგილას ნაპოვნი 12 მონეტა, რომლებიც ტფილისის ამირა ალი იბნ ჯაფარისაა (XI ს.) [68, გვ. 65, 66].

ძირითადად ასეთია ძველ თბილისში შემთხვევით გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლებისა და ცალკეული არტეფაქტების შესწავლის ისტორია. ჩამოთვლილ ძეგლებს ამ ბოლო წლებში შეემატა ქარვასლისა და სინაგოგის გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, რომელთაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

თ ა ვ ი I

არქეოლოგიური გათხრები ქარვასლაში

ძველ თბილისში, სიონის ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით 30-ოდე მ-ის დაშორებით, კ. ლესელიძის ქუჩის №36-ში მდებარე 1902 წ. აგებული ქარვასლის (სურ. I-1, 2; ტაბ. I) რეკონსტრუქციისას² შენობის გამაგრების მიზნით, საძირკველის გაყოლებით გაკეთებულ თხრილში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 4-5 მ სიღრმეზე მშენებლები დროდადრო პოულობდნენ თიხის ჭურჭლის ნატეხებს. ნაგებობის დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში კი საძირკველის გარეთ, კუთხესთან, მშენებლებმა დააზიანეს აგურითა და კირხსნარით ნაგები ორმო (ხარო), საიდანაც ამოულაგებიათ სხვადასხვა ფორმა-ზომისა და დანიშნულების თიხის ჭურჭლები. ამ აღმოჩენის შესახებ მშენებლებმა აცნობეს ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრს, რომლის თანამშრომლებმა 2006 წ. ოქტომბერ-ნოემბერში გათხრები აწარმოეს ქარვასლის ტერიტორიაზე.³ სამუშაოები მიმდინარეობდა შენობის საძირკველის გაყოლებით არსებულ თხრილში და საკუთრივ შენობის შიგნით, ექვს სხვადასხვა ადგილას (ტაბ. I). შევეხებით მხოლოდ იმ უბნებს, სადაც მნიშვნელოვანი მასალა იქნა გამოვლენილი.

² სამუშაოებს აწარმოებს კომპანია «დელქროს ლიმიტედი», რომელიც ყოფილი ქარვასლის შენობაში სასტუმროს მოწყობას აპირებს.

³ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: დ. მინდორაშვილი (ხელმძღვანელი), თ. ბერიძე, ნ. სულავა, ქ. რამიშვილი (არქეოლოგები), ნ. ოქრუაშვილი (მხატვარი), ბ. მაცაბერიძე (ფოტოგრაფი).

I. ქარვასლის აღმოსავლეთი კედლის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან გამოვლინდა ნატეხი აგურით გაჯზე ნაგები და გაჯითვე შელესილი, 1,8 მ სიმაღლეზე შემორჩენილი, 1,15 მ დმ-ის მრგვალი სვეტის ნაშთი. სვეტის ბალიშებად გამოყენებულია გრანიტის ფილები. სვეტის ქვედა ნაწილი 50 სმ სიღრმეზე შეულესავია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სვეტის ეს ნაწილი თავიდანვე მიწაში იყო მოქცეული (ტაბ. I-1, ტაბ. II). არაა გამორიხული, რომ სვეტი თავის დროზე სადღაც ამ მიდამოებში არსებული «ჩორსუ ბაზრის» ერთ-ერთ ბურჯს წარმოადგენდა. თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდია.

სვეტიდან სამხრეთით, 1,8 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი კვადრატული აგურით კირხსნარზე ნაგები კედელი (ტაბ. I-1, ტაბ. II), რომელიც ქარვასლის სამირკველისგანაა დაზიანებული. სავარაუდოდ კედელი და სვეტი XVII-XVIII სს-ის ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს. სვეტთან, თბილისის ჭრილში შეინიშნება ძლიერი ხანძრის კვალი, რომელიც თბილისის 1795 წ. სექტემბრის ტრაგედიასთან _ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

II. ქარვასლის დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში, კუთხესთან, მიწის ზედაპირიდან 4 მ სიღრმეზე მშენებლები წააწყდნენ ორმოს (ხაროს), რომლის ოვალური მოყვანილობის კედლები ნაგებია კვადრატული აგურის ნატეხებით კირხსნარზე. 20 სმ-ით შემალღებელი ორმოს პირი ვიწროა. მას ზემოდან ეხურა ბრტყელი ქვა. ორმოს კედლები ქვედა ნაწილში თანდათან

ფართოვდება. იატაკი მოგებულია აგურით (24X24X3 სმ). ორმოს ზომები: სიმაღლე 1,6 მ, შუა ნაწილის დმ 1,4 მ, ძირის დმ 1,5 მ, კედლის სისქე 20 სმ. ორმო შიგნიდან კირხსნართაა შელესილი (ტაბ. I-2, ტაბ. III).

მშენებლებმა ორმოში იპოვეს საგანგებოდ შენახული 25-მდე ჭურჭელი, რომლებიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პარალელების მიხედვით კარგად თარიღდება XVIII ს-ით. რითი უნდა აიხსნას ორმოში ამდენი მთელი ჭურჭლის საგანგებოდ შენახვა? საფიქრებელია, რომ ნივთები გადამალული იყო მტრის შემოსევის საშიშროების გამო. თუ ნივთების თარიღსა და იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ თხრილის ჭრილში, ორმოს პირის დონეზე დამწვარი შრე შეინიშნება, ამ ნივთების შენახვა 1795 წ. სექტემბერში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას უნდა დაუკავშიროთ. როგორც ცნობილია, იმ დროს მტერმა თბილისი სასტიკად ააოხრა და გადაწვა. გაჟლიტა მოსახლეობის დიდი ნაწილი. არაა გამორიცხული, რომ მათ შორის ამ ჭურჭლების პატრონიც იყო.

III. ქარვასლის სამხრეთი კედლის სამირკველს ჩაჭრილი ჰქონდა კვადრატული აგურის ნატეხებით კირხსნარზე ნაშენი ორმო,⁴ რომლის ოვალური მოყვანილობის კედლები ზემოთ ვიწროა, ქვემოთ კი ფართოვდება. კედლების სისქე 35-40 სმ-ია. ორმოს

⁴ აღნიშნული ორმოდან დასავლეთით, ორიოდე მ-ის დაშორებით გამოვლინდა პატარა ქვევრი, რომელიც იმდენად დაზიანებული იყო სამირკველისაგან, რომ მისგან მხოლოდ კირხსნარში შერეული ჭურჭლის გვერდის რამდენიმე ფრაგმენტი შეინიშნებოდა.

სიმაღლე 1,6-1,7 მ უნდა ყოფილიყო. ორმოს შუა ნაწილის დმ 1,6 მ-ია, ძირის დმ - 1,7 მ. ორმოს კედლები აგურითაა ნაგები (ტაბ. I-3, ტაბ. IV). ორმოში აღმოჩნდა რამდენიმე მთელი ჭურჭელი.

აგურისკედლებიანი ორმოები მიკვლეულია თბილისში - ერეკლე II-ეს მოედანზე. მათ გამოხრელები VII-VIII და X-XII სს-ით ათარიღებდნენ [13, გვ. 40]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისინი ძველი თბილისისათვის მეტად დამახასიათებელი გვიანდელი შუა საუკუნეების ორმოებია და მათში გამოვლენილი მასალაც შესაბამისად გვიანდელია. ასეთივე ორმოები აღმოჩენილია ანჩისხატის ეკლესიის უბანში [50, გვ. 23, 24]. მართალია, მათ ერეკლე II-ეს მოედანზე გამოვლენილი ორმოების თანადროულად მიიჩნევენ [50, გვ. 23, 24], მაგრამ ამ ორმოებშიც ადრეული არაფერია.

შენობის საძირკველის გასწვრივ გაკეთებულ თხრილში მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 4-5 მ. სიღრმეზე თითქმის ყველგან შეინიშნებოდა XVII-XVIII სს-ის კულტურული ფენა, რომელშიც აქა-იქ ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ქარვასლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მომდინარეობს ერთი კულტურული ფენიდან. მასალის დიდი ნაწილი XVIII ს-ეს განეკუთვნება. რამდენიმე არტეფაქტი შესაძლოა XVI-XVII სს-ით დათარიღდეს. იქ უფრო ადრეული კულტურული ფენების გამოვლენა ვერ მოხერხდა იმ მიზეზის გამო, რომ ისინი, როგორც ჩანს, შეიწირა გვიანდელი შუა საუკუნეების შენობებმა.

არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა კერამიკული ნაწარმია. ფუნქციონალური თვალსაზრისით მათში გამოიყოფა სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. გვხვდება სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმიც.

სამეურნეო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება ქვევრის ორი ფრაგმენტი. ერთი მათგანი ძირ-გვერდის ნატეხია, გამოყვანილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. გვერდებზე შემორჩენილია თოკისებური სარტყელი (ტაბ. V-100).⁵მეორე ქვევრის გვერდის ნატეხი შემკულია რელიეფური სარტყელით (ტაბ. V-60). ქვევრები გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხშიმუქი. ნატეხებისმიხედვითჩანს,რომ ორივე ქვევრი პატარა ზომის ყოფილა.

ანალოგიური ფორმისა და შემკულობის ქვევრები აღმოჩენილია თბილისში - ერეკლე II-ეს მოედანზე [13, ტაბ. 27, სურ. 162], უფლისციხეში [34, ტაბ. XIV-2], ლოქის ხეობაში [11, გვ. 75], ქუთაისის ციხის ტერიტორიაზე [17, გვ. 21] და სხვ. ისინი ძირითადად XVII-XVIII სს-ს განეკუთვნება. ქარვასლის ტერიტორიიდან მომდინარე ქვევრები უფრო XVIII ს-ით უნდა დავათარილოთ. ქვევრების აღმოჩენა, ბუნებრივია, ქალაქის საცხოვრებელ ნაგებობებში ჭურ-მარნების არსებობას გვაგულისხმებინებს. თბილისური საცხოვრებელი სახლებისათვის ჭურ-მარნებიც რომ იყო დამახასიათებელი, აქ გამოვლენილი ქვევრების გარდა, მიუთითებს

⁵ ტაბულებზე მითითებული ნომრები შეესაბამება ნივთების საინვენტარო ნომრებს. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

გვიანდელი შუა საუკუნეების წერილობითი წყაროებიც [14, გვ. 19, 75, 208].

სამეურნეო კერამიკიდან აღსანიშნავია სადღვებლის ერთი მთლიანად შემორჩენილი ნიმუში, რომელიც XVIII ს-ით დათარიღებულ პირველ ორმოშია გამოვლენილი. სადღვებელი ხასიათდება სამკუთხაგანიკვეთიანი პირით, დაბალი წიბოიანი ყელით, მაღალი ტანით. მხარზე ჰორიზონტალურადაა დამერწილი ოვალურგანიკვეთიანი მასიური ყური. ყურთან აქვს საჰაერო ნახვრეტი. ტანი დაფარულია მორგვისეული ხაზებით. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. VI-1).

აღსანიშნავია, რომ არსებობის დიდი ხნის მანძილზე სადღვებლები ფორმა-მოყვანილობას თითქმის არ იცვლიან. ანალოგიური ჭურჭლები ცნობილია: დმანსიდან [20, ტაბ. XLI-4], უფლისციხიდან [34, ტაბ. XV-8, XXVIII-6,7], უჯარმიდან [26, გვ. 216, 253, 257] და სხვ.

პირველ ორმოში გამოვლენილი დერგი ხასიათდება ბრტყელი ბაკოთი, დაბალი ყელით, განზიდული მხრებით, მაღალი ტანითა და ვიწრო ძირით. მხარზე შემოუყვება ორი ამოდარული სარტყელი. გამომწვარია ღია მოწითალოდ (ტაბ. VII-3).

ცალკე ტიპად უნდა გამოიყოს შტამპით დატანილი ვარდულით შემკული გვერდის ნატეხი (ტაბ. VII-33). ვარდულებით შემკული დერგები არაერთია ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს განათხარი ძეგლებიდან. მათ ძირითადად განვითარებულ შუა საუკუნეებს მიაკუთვნებენ [2, გვ. 126-133]. აღმოჩენის ვითარების მიხედვით, აგრეთვე კეცის სტრუქტურით, რომელიც სრულიად იდენტურია ქარვასლის ტერიტორიიდან მომდინარე

გვიანდელი შუა საუკუნეების კერამიკის კეცისა, აღნიშნული დერგი ჩვენ XVI-XVII სს-ის ნაწარმად მიგვაჩნია. ჩანს, შტამპიანი დერგები მოგვიანებითაც უმზადებიათ.

სამზარეულო დანიშნულების კერამიკიდან განათხარ მასალაში გვხვდება ორი სხვადასხვა ტიპის კოკა: 1. კოკას აქვს მოყრილი პირი. მხრებისაკენ გაფართოებულ დაბალ ყელზე მიერთებულია ბრტყელგანივკვეთიანი ყური. ჭურჭელზე დაწინწკლულია წერნაქის საღებავი. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში წითელი და ნაცრისფერია (ტაბ. VII-53). კოკა აღმოჩნდა ქარვასლის აღმოსავლეთი კედლის სამირკველთან; 2. პირველ ორმოში გამოვლენილ კოკას აქვს სამკუთხაგანივკვეთიანი პირი. დაბალ ყელზე ოდნავ შესამჩნევი წიბოა. ტანი მაღალია, კვერცხისებური მოყვანილობის. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებით. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხამსხვილმარცვლოვანია (ტაბ. VII-2).

ანალოგიური ფორმის კოკები ცნობილია: თბილისის ანჩისხატის უბნიდან [50, გვ. 44, სურ. 39; გვ. 47, სურ. 111], ერეკლე II-ეს მოედნიდან [13, ტაბ. 27, სურ. 176].

პირველ ორმოში გამოვლენილ ტოლჩებს აქვთ სამკუთხაგანივკვეთიანი პირი, ფართო და დაბალი წიბოიანი ყელი, კვერცხისებური მოყვანილობის ტანი. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ყელსა და მხარზე. მხარი შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზების სარტყელით. გამომწვარია მოწითალოდ (ტაბ. VI-4, 11).

ქილები ყველა პირველ ორმოშია გამოვლენილი. მათში გამოიყოფა სამი ტიპი:

1. ქილის პირი ოთხკუთხაგანიკვეთიანია. ყელი დაბალია, რამდენადმე ფართო. მომადლო ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. მხარზე შემოუყვება ორი ამოღარული სარტყელი. გამომწვარია წითლად (ტაბ. VI-9).

Y 2. ქილას აქვს სამკუთხაგანიკვეთიანი პირი. მხრებისაკენ გაფართოებული ყელი. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ყელი და მხარი შემკულია ორი ამოღარული ტალღოვანი სარტყელით. ტანი დაფარულია მორგვისეული ხაზებით. გამომწვარია წითლად (ტაბ. VII-12).

3. ქილა ხასიათდება გაშლილი პირით, დაბალი ფართო ყელით. კვერცხისებური მოყვანილობის ტანი დაფარულია მორგვისეული ხაზებით. მხარზე შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი სარტყელი. გამომწვარია მოწითალოდ (ტაბ. VI-13).

ქოთნებში ოთხი ტიპი გამოიყოფა. ისინი ყველა პირველ ორმოშია გამოვლენილი და ბუნებრივია, ერთმანეთის თანადროულია.

1. პირტუჩიან ქოთანს აქვს ფართო ყელი. ოვალურგანიკვეთიანი ყურები მიერთებულია ჭურჭლის პირსა და მხარზე. მხარზე შემოუყვება სამი ამოღარული სარტყელი. გამომწვარია წითლად (ტაბ. VIII-5). ანალოგიური ფორმის ქოთანი ცნობილია დმანისიდან [20, გვ. 80, ტაბ. XLI-3].

2. ქოთნებს აქვთ ფართო პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ოვალური ძირი.

ოვალურგანივკვეთიანი ყურები დაძერწილია მხრებზე ან ყელსა და მხარზე. ერთი მათგანი შემკულია მოპირდაპირე მხარეს მუცელზე დაძერწილი ორი კოპით. ყურების პირთან მიერთების ადგილას - ღრმა, წრიული ნაჭდევით. თიხა მსხვილმარცვლოვანია (ტაბ. VIII-7, 8). მსგავსი ფორმა-მოყვანილობის ქოთნები ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ძეგლებზე. ისინი აღმოჩენილია: უჯარმაში [26, ტაბ. XL-181], უფლისციხის გვიანდელი შუა საუკუნეების ფენებში [34, ტაბ. XXVIII-4] და სხვ.

3. ქოთანი ფართოპირიანია, დაბალი ყელითა და მხრებით. ძირი ოვალურია. ჭურჭელს ყელსა და მხრებზე დაძერწილი აქვს სამი ოვალურგანივკვეთიანი ყური და სითხის გადმოსადგრელი მოკლე მილი. თიხა მსხვილმინარევიანია (ტაბ. VIII-14).

ანალოგიური ქოთანი ცნობილია დმანისიდან [ჯაფარიძე 1956, ტაბ. I, სურ. 6]. დმანისის ციტადელის გათხრისას აღმოჩნდა კიდევ ერთი მსგავსი ჭურჭელი [20, გვ. 79, ტაბ. XL-1]. ასეთივე ჭურჭელია გამოვლენილი თბილისში - ერეკლე II-ეს მოედანზე [13, ტაბ. 36, სურ. 301], რომელიც თავისი ფორმით გვიანდელ შუა საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს.

4. ქოთანს აქვს ფართოდ გაშლილი პირი, დაბალი ყელი. პირსა და მხარზე შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი ორნამენტი. თიხა მსხვილმარცვლოვანია (ტაბ. VIII-10). აღსანიშნავია, რომ ქოთნის ფართო და გაშლილი პირი ფორმით თითქმის იმეორებს იმავე ორმოში აღმოჩენილი ჯამების პირებს. ჯამებისა და

აღნიშნული ქოთნის თიხის სტრუქტურაც სრულიად იდენტურია.

ქოთნების ორნამენტი საკმაოდ ღარიბია. ორნამენტული სახეებიდან გვხვდება ამოღარული ტალღოვანი და სწორი ხაზების სარტყლები, კოპები და ყურისქვედანაწილზედატანილიწრიულინაჭდევეები.

პირველ ორმოში გამოვლენილი ქვაბქოთანი შემორჩენილია პირ-გვერდის ნატეხით. აქვს ბრტყელი ბაკო. დაბალ ყელზე შემოუყვება ორი რელიეფური სარტყელი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მხარზე ჰორიზონტალურადაა დაძერწილი. თიხა მსხვილმინარევიანია (ტაბ. VIII-37). აღმოჩენის ვითარების მიხედვით ქვაბქოთანი ზემოთ აღწერილი ქოთნების თანადროულიადაXVIIIს-ით უნდა დათარიღდეს.

ქვაბქოთნები ფართოდაა გავრცელებული საქართველოსა და კავკასიის შუა საუკუნეების ძეგლებზე. ისინი ცნობილია: თბილისიდან [13, ტაბ. 27, სურ. 117], უჯარმიდან [26, ტაბ. XL-195], თელავიდან [47, გვ. 47, ტაბ. IV-1], კვეტერის ციხიდან [35, გვ. 94], რუსთავიდან [25, ტაბ. XXX-7], დმანისიდან [62, გვ. 18, ტაბ. I, სურ. 12, 13], დვინიდან [73, გვ. 199, ტაბ. 174], ორენ-ყალადან [65, გვ. 190, ტაბ. II] და სხვ. მოხმობილი პარალელური მასალა ყველგან ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეებითაა დათარიღებული. ქარვასლის ტერიტორიიდან მომდინარე ქვაბქოთნები კი აღმოჩენის ვითარების მიხედვით გვიანდელი შუა საუკუნეებით, კერძოდ XVIII ს-ით უნდა დავათარიღოთ. ჩანს, ჭურჭლების ეს ფორმა საკმაოდ გვიანობამდე არსებობდა. უფრო მეტიც, ქვაბქოთნები ეთნოგრაფიულ

ყოფაშიც, კერძოდ კახურ მეჭურჭლეობაშიცაა დადასტურებული [10, გვ. 70].

ბადიები შემორჩენილი ნატეხების მიხედვით საკმაოდ დიდი ზომის ყოფილა. ერთ მათგანს ფართო და მასიური პირის კიდეზე გარედან შემოუყვება ნაჭდევებით შემკული რელიეფური სარტყელი. გამომწვარია წითლად. კეცი გადანატეხში მუქია (ტაბ. IX-48). მეორე ნატეხის კალთა შემკულია ორი რელიეფური სარტყელით. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. IX-93).

ბადიები მრავლადაა აღმოჩენილი როგორც ადრეული, ისე განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებზე. ისინი ცნობილია: ურბნისიდან [41, გვ. 50; 51, გვ. 111], დმანისიდან [20, გვ. ტაბ. XLII-6], თბილისიდან [13, ტაბ. 20, სურ. 13, ტაბ. 21, სურ. 61, ტაბ. 25, სურ. 159, ტაბ. 34, სურ. 270], უჯარმიდან [26, გვ. 187], კვეტერის ციხიდან [35, გვ. 95, ტაბ. LIV-478, 2046], უფლისციხიდან [34, ტაბ. XVI-8-11] და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ბადიები გვხვდება ადრეული შუა საუკუნეებიდან განვითარებული შუა საუკუნეების ბოლომდე [47, გვ. 29]. რაც არაა მართებული. ბადიები შემდგომშიც დიდხანს განაგრძობენ არსებობას. მაგ. XVI-XVIII სს-ით დათარიღებული ბადიის ნატეხი ცნობილია ჯავახეთის ახალქალაქიდან [59, ტაბ. X-2235]. ბადიების ხანგრძლივ გამოყენებაზე მიუთითებს ქარვასლის შენობის საძირკველთან, გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ნიმუშები, რომელთაც ჩვენ XVIII ს-ით ვათარიღებთ.

სუფრის ჭურჭელს შორის გვხვდება ჯამები და ხელაღები. ჯამებიდან სამი აღმოჩენილია პირველ

ორმოში. ისინი ხასიათდებიან ჰორიზონტალურად გაშლილი პირით, კონუსისებური მოყვანილობის ტანით, პროფილირებული ქუსლითა და ბრტყელი ძირით (ტაბ. IX-16, 17). ერთი მათგანი თავიდანვე დეფორმირებული, გატეხილი და შეწებებული იყო (ტაბ. IX-18). ჯამები გამომწვარია წითლად. პირის მოყვანილობით, აღნიშნული ჯამები თითქმის იმეორებენ XVII-XVIII სს-ში ფართოდ გავრცელებული თეფშების პირის ფორმებს, მაგრამ თეფშებთან შედარებით ჩვენი ჭურჭლები უფრო ღრმაა, რის გამოც ისინი ჯამების ჯგუფში ერთიანდებიან.

განსხვავებულ ტიპს ქმნის ჯამის ერთი ნატეხი, ბრტყელი ბაკოთი, მოყრილი პირითა და ნაკლებად დაქანებული კალთით. ძირი ფართოა, ბრტყელი. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი გადანატეხში მუქი (ტაბ. IX-45). ჯამი აღმოჩნდა ქარვასლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, საძირკვლის გარეთ, XVIII ს-ის კულტურულ ფენაში.

დაახლოებით მსგავსი ფორმის ჯამი ცნობილია: თბილისიდან - ანჩისხატის ეკლესიის უბნიდან [50, გვ. 33]. ჯამი XVIII ს-ით შეიძლება დათარიღდეს.

სუფრის ჭურჭელს შორის გამოირჩევა სხვადასხვა ფორმისა და ზომის ხელადები. მათ შორის რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოიყოს:

1. სამტუჩა ხელადას ვიწრო ყელზე შემოუყვება წიბო, რომლის ქვემოთ სამ ადგილას დაძერწილი აქვს კოპი. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ძირი ვიწროა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელის წიბოსა და მხარზე, რომელზეც შემოუყვება სამი ამო-

ღარული სარტყელი. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფრო-მოწითალოდ (ტაბ. X-6). ხელადა აღმოჩენილია პირველ ორმოში.

გვიანდელი შუა საუკუნეებით დათარიღებული მსგავსი ფორმისა და შემკულობის ხელალები გვხვდება: უფლისციხეში, კვეტერაში [34, ტაბ. XXIX-3; 35, ტაბ. LV-1571].

2. სამტუჩა ხელადას აქვს ფართო პირი, დაბალი ყელი შემკულია წიბოთი. მხრები დაშვებულია. მორგვისეული ხაზებით შემკული მაღალი ტანი ბოლოვდება ფართო ძირით. პირსა და მხარზე შემორჩენილია ოვალურგანიკვეთიანი ყურის კვალი. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მკვრივია, კარგად განლეპილი (ტაბ. X-42). ჭურჭელი აღმოჩნდა ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის სამირკველთან, XVIII ს-ის კულტურულ ფენაში.

დაახლოებით მსგავსი ფორმის ხელადა ცნობილია თბილისიდან - ერეკლე II-ეს მოედნიდან [13, ტაბ. 23, სურ. 183]. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია ანჩისხატის ეკლესიის უბანშიც [50, გვ. 33].

3. სამტუჩა ხელალებს პირს ქვემოთ შემოუყვება წიბო. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ოვალურგანიკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მკვრივია, მსხვილმარცვლოვანი (ტაბ. X-76, 77). ორივე ჭურჭელი აღმოჩნდა შენობის სამხრეთი კედლის სამირკველის მიერ დაზიანებულ მეორე ორმოში. წითლად გამომწვარი სამტუჩა ხელადის მესამე ნიმუში (ტაბ. X-69) გამოვლენილია შე-

ნობის აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში, XVIII ს-ის კულტურულ ფენაში.

მსგავსი ფორმის ხელადები კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების, განსაკუთრებით თბილისის განათხარი ძეგლებიდან. ანალოგიური ჭურჭლები აღმოჩენილია თბილისში - ერეკლე II-ეს მოედანზე. მართალია, გამთხრელები თავის დროზე მათ ადრეულ შუა საუკუნეებს მიაკუთვნებდნენ [13, ტაბ. 23, სურ. 80; ტაბ. 29, სურ. 180], მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისინი გვიანდელი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტიპური ნიმუშებია. ანალოგიური ხელადები ცნობილია აგრეთვე ანჩისხატის ეკლესიის უბნიდან [50, გვ. 38, სურ. 2; გვ. 43, სურ. 1].

4. მეორე ორმოშია აღმოჩენილი ფრაგმენტულად შემორჩენილი ხელადა, რომელსაც ჰქონია ფართო ყელი. დაბალ, გამობერილ ტანზე შემორჩენილია ოვალურგანიკვეთიანი ყურის კვალი. ჭურჭლის ზედაპირი ნაპრიალებია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მკვრივია, წმინდად განლექილი (ტაბ. X-78).

დაახლოებით მსგავსი ფორმის ჭურჭლები ცნობილია თბილისიდან - ერეკლე II-ეს მოედნიდან და ანჩისხატის ეკლესიის უბნიდან [13, ტაბ. 24, სურ. 112; 50, გვ. 43, სურ. 18].

5. პირველ ორმოში მიკვლეულ ხელადას აქვს შესქელებული, ოდნავ გაშლილი მრგვალი პირი, ფართო და მომაღლო ყელზე შემოუყვება წიბო. მხრები დაშვებულია. ოთხკუთხაგანიკვეთიანი ყური

მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად (ტაბ. XV-20).

6. იმავე ორმოშია გამოვლენილი მილიანი ხელადა, რომელიც ხასიათდება ოდნავ შესქელებული, გაშლილი პირით. ვიწრო და მაღალ ყელზე შემოუყვება წიბო. ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა.

ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელის წიბოსა და მხარზე. მხარზე შემორჩენილია მილის კვალი. მხარსა და კალთაზე შემოუყვება სამი ამოღარული სარტყელი. ზედაპირი ხაოიანია (ტაბ. XV-21). გამოწვის ფერით, ხარისხით, თიხის სტრუქტურით ის ზუსტად იმეორებს იმავე ორმოში გამოვლენილ ზემოთ აღწერილ ხელადას (ტაბ. XV-20).

მილიანი ხელადები სამხრეთ კავკასიის განვითარებული და განსაკუთრებით გვიანდელი შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში საკმაოდ ხშირად გვხვდება. მილიანი ხელადები, რომელთაც ზოგჯერ «ნისკარტიან», «მილნისკარტიან» ან «ჩაიდნისებურ» ჭურჭლებადაც მოიხსენიებენ, აღმოჩენილია: ორენ-ყალაში [65, გვ. 214, ტაბ. XI-1, 2], დმანისში [62, ტაბ. IX-15, 16], გავაზში [53, გვ. 56, ტაბ. LXV-1], თელავში [47, გვ. 51], თბილისში - ერეკლე II-ეს მოედანზე [13, ტაბ. 23, სურ. 83]. XVII-XVIII სს-ს განეკუთვნება მცხეთაში, რუსთავში, თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი ანალოგიური ხელადები [3, გვ. 179, 180]. დაახლოებით ამავე პერიოდით თარიღდება კვეტერაში გამოვლენილი მილიანი ხელადები [35, გვ. 97].

ფიქრობენ, რომ ამ ფორმის ჭურჭლები უფრო მუსულმანური სამყაროსთვისაა დამახასიათებელი და

ჩვენში ისინი ირანიდან და თურქეთიდან ვრცელდებოდა. თბილისის დედაციხეზე მათი მრავლად აღმოჩენის ფაქტი, იქ ირანულ თუ თურქ მეციხოვნეთა ხანგრძლივ ჩადგომას უკავშირდება XVI-XVIII ს-ის პირველ ნახევარში [3, გვ. 180]. ამგვარი ჭურჭლების ჩვენში გავრცელება თავდაპირველად მართლაც მუსულმანურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა, ჭურჭლის ეს ფორმა შემდგომში აქ იმდენად დამკვიდრდა, რომ ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაში თითქმის ბოლო ხანებამდე იყო შემორჩენილი [33, გვ. 110].

ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება ხელადის მასიური, ბრტყელგანივკვეთიანი ყური, შემკული კონუსით დაბოლოებული მაღალი დანაძერწით. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წმინდადაა განლექილი. კეცი მკვრივია (ტაბ. XI-75).

ანალოგიურად შემკული ჭურჭლის ყური ცნობილია თბილისიდან - ერეკლე II-ეს მოედნიდან [13, ტაბ. 22, სურ. 79].

სადა კერამიკული ნაწარმიდან სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლებს შორის აღსანიშნავია სფეროკონუსები. სამი ნიმუშიდან ერთი კონუსური მოყვანილობის ძირის ფრაგმენტითაა შემორჩენილი. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მკვრივია, წმინდად განლექილი. კეცი საკმაოდ სქელია (1-1,5 სმ) (ტაბ. XI-46). მეორე ეგზემპლარი სრულადაა შემორჩენილი და ზემოთ აღწერილისაგან განსხვავებით, ოვალური ძირი აქვს (ტაბ. XI-24). კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს მესამე სფეროკონუსი, რომელიც როგორც ჩანს, ქურაში

გამოწვისას ზედმეტი სიმხურვალის გამო დეფორმირებულია (ტაბ. XI-98). სფეროკონუსი წუნდებული ნიმუშია და უთუოდ იმის მიმანიშნებელი, რომ ამგვარი ჭურჭლები სადაც აქვე ახლოს უმზადებიან, რადგან, თავის დროზე უკვე გამომწვარი სფეროკონუსი რაც უნდა დიდ ხანძარში მოხვედრილიყო, ვერ მიიღებდა ისეთ დეფორმაციას, როგორც აღნიშნული ჭურჭელია დეფორმირებული. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სფეროკონუსების აღმოჩენის ადგილიდან არც თუ ისე დიდაა დაშორებული დღევანდელი ერეკლე II-ეს მოედანი, სადაც გამოვლენილია სამეთუნეო ქურა-სახელოსნოს ნაშთები [13, გვ. 25, ტაბ. 26, სურ. 139; ტაბ. 37, სურ. 323, 326]. ახლა ძნელია იმის მტკიცება, რომ აღნიშნული სფეროკონუსები, განსაკუთრებით წუნდებული ნიმუში მაინცადამაინც იმ სახელოსნოშია დამზადებული, მაგრამ წუნდებული ნიმუშის ახლოს ქურა-სახელოსნოს არსებობა თავისთავად საინტერესო და გასათვალისწინებელი ფაქტია.

სფეროკონუსების ფუნქციის შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ფიქრობენ, რომ ის გამოიყენებოდა ვერცხლისწყლის, წამლების, კეთილსურნელოვანი სითხის, წმინდა წყლის გადასატანად და სხვ. არ გამორიცხავენ მის ყუმბარად გამოყენებასაც. სამარაში აღმოჩენილი წარწერიანი სფეროკონუსის მიხედვით ისინი მაღალხარისხოვანი ღვინის შესანახი ჭურჭლები ყოფილა [52, გვ. 151, 152, ლიტ. იხ. იქვე]. დღემდე საბოლოოდ მაინც გაურკვეველია მისი ფუნქცია. სადა თუ ორნამენტით შემკული ანალოგიური ჭურჭლები აღმოჩენილია სამხრეთ კავკა-

სიის შუა საუკუნეების ძეგლებზე. ისინი გვხვდება: თბილისში, დმანისში [13, ტაბ. 23, სურ. 90; ტაბ. 31, სურ. 240; 62, ტაბ. IX-17-29; 20, ტაბ. XLII-5], რუსთავში [25, ტაბ. XXXII-1,2], უჯარმაში [26, გვ. 214, 263], დვინში [70, გვ. 88], ანისში [72, ტაბ. XLVIII, XLIX], ორენ-ყალაში [65, გვ. 221, 222, ტაბ. XIV]. მრავლადაა ისინი ცნობილი სპარსული მასალებიდანაც [78, ტაბ. 5]. ჩამოთვლილ ძეგლებზე სფეროკონუსებს ძირითადად XI-XIII სს-ით ათარიღებენ. თუმცა, გრემის ნაქალაქარის გათხრებისას გამოვლენილი ნიმუშების მიხედვით, უდავო შეიქმნა, რომ სფეროკონუსებს გვიანდელ შუა საუკუნეებშიც საკმაოდ ფართო გამოყენება ჰქონიათ. თავის დროზე ამის შესახებ ლ. ჭილაშვილი წერდა: «სფეროკონუსების წარმოება, რაც ისე დიდი მასშტაბით იყო ცნობილი IX-XIII სს-ში, გრძელდება გვიან შუა საუკუნეებშიც» [54, გვ. 123]. გვიანდელ შუასაუკუნეებში სფეროკონუსების ფართოდ წარმოების კიდევ ერთი დადასტურებაა ქარვასლის ტერიტორიიდან მომდინარე ნიმუშები, რომლებიც აღმოჩენის ვითარების მიხედვით XVIII ს-ეს უნდა მივაკუთვნოთ. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სფეროკონუსები კეცის ფერითა თუ თიხის სტრუქტურით სრულიად იდენტურია ქარვასლის ტერიტორიიდან მომდინარე გვიანდელი შუა საუკუნეების მოჩალისფროკეციანი ჭურჭლებისა, რაც სფეროკონუსების გვიანდლობის კიდევ ერთი საბუთია.

ცალკე განვიხილავთ XVIII ს-ის კულტურულ ფენაში გამოვლენილ წერნაქიან ჭურჭელს.

1. მცირე ზომის ჭინჭილებს აქვთ ბრტყელი ბაკო, დაბალი და ვიწრო ყელი, დაშვებული მხრები. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელის წიბოსა და მხარზე. ჭურჭლისზედაპირი ხაოიანია (ტაბ. XII-54,55). ორივე მათგანი აღმოჩენილია ქარვასლის აღმოსავლეთი კედლის სამირკველთან, გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურულ ფენაში და ისინი XVIII ს-ეს უნდა მივაკუთვნოთ.

2. ხელადის მაღალ ყელზე შემორჩენილია შიგნიდან გამობერილი ლილვაკი, რომლის ქვემოთ ანალოგიური, ორი წიბოთი შემკული ლილვაკია. მასზე შემორჩენილია ოვალურგანივკვეთიანი ყურის კვალი. მსხლისებური მოყვანილობის ტანი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში წითელი და ნაცრისფერია (ტაბ. XII-51).

XI-XIII სს-ით დათარიღებული, პირს ქვემოთ ლილვით შემკული წერნაქიანი ხელადა ცნობილია დმანისიდან [62, ტაბ. III-21]. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დმანისური ხელადის თარიღი არასწორადაა განსაზღვრული. ის გვიანდელი შუა საუკუნეების ნაწარმია. ჩვენი ხელადა ფორმით იმეორებს თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილ ზოგადად XVII-XVIII სს-ით დათარიღებულ ორმაგყურიან ხელადას [3, ტაბ. III-2]. არაა გამორიგხული, რომ ქარვასლის ტერიტორიაზე გამოვლენილი ხელადაც ორმაგყურიანი იყო. ხელადა XVIII ს-ით უნდა დავათარიღოთ.

იმავე ტიპს უნდა ეკუთვნოდეს ხელადა, რომელსაც ჰქონია ვიწრო და მაღალი ყელი. ყელის ძირზე შემოუყვება სამი კონცენტრული წიბო. მსხლისებური მოყვანილობის ტანი შემკულია მცენარეული ორნამენტით. მუცელზე შემორჩენილია ოვალურგანივკვეთიანი ყურის კვალი. კეცი მკვრივია, თიხა კარგად განლექილი (ტაბ. XII-23).

ანალოგიური ფორმისა და ორნამენტის მქონე ხელადები კარგადაა ცნობილი დმანისიდან [62, ტაბ. III-10, VIII], გუდარეხიდან [40, გვ. 124, სურ. 53]. მართალია, ამ ძეგლებიდან მომდინარე ჭურჭლებს გამთხრელები XI-XIII სს-ს მიაკუთვნებენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თარიღი უმართებულოა! მცხეთაში აღმოჩენილი ამგვარი ხელადები თარიღდება XVII-XVIII სს-ით [3, გვ. 177]. XVIII ს-ის შუა ხანებს მიეკუთვნება წერნაქიანი ჭურჭელი ლოქის ხეობის (ქვემო ქართლი) ნასოფლარიდან [11, გვ. 78, ტაბ. VIII-1]. მსგავსი ფორმისა და ორნამენტის მქონე ხელადები მრავლადაა აღმოჩენილი თბილისის დედაციხეზე და პარალელური მასალების მიხედვით კარგად თარიღდება XVII-XVIII სს-ით [3, გვ. 178, ტაბ. II, III-2]. ქარვასლის ტერიტორიიდან მომდინარე ხელადა XVIII ს-ს უნდა მივაკუთვნოთ.

3. წერნაქით შეღებილ და წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით შემკულ ხელადას ჰქონია ფართო, ცილინდრული მოყვანილობის ყელი, რომელზეც შემოუყვება წიბო. მუცელზე შემორჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურის კვალი. თიხა წმინდადაა განლექილი. კეცი გადანატეხში მუქია. მხარზე

ამოკაწრული აქვს ორი ასომთავრული ასო-ნიშანი «ქ» და «შ.» ეს უკანასკნელი დაუდევრადაა გამოყვანილი და უფრო «მ»-ს წააგავს ვიდრე «შ»-ს. ამოკაწრული ასო-ნიშანი «ქ» ამკობს ჭურჭლის ძირსაც (ტაბ. XII-19). ხელადა აღმოჩნდა პირველ ორმოში და იქ გამოვლენილი სხვა ჭურჭლების მსგავსად XVIII ს-ით თარიღდება. რადგან ხელადაზე წარწერა მისი გამოწვის შემდეგაა დატანილი, საფიქრებელია, რომ წარწერა მფლობელის მიერაა შესრულებული.

შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალებში წარწერიანი კერამიკის (კრამიტები, ხელადები, ჯამები) უკვე იმდენი ნიმუშია ცნობილი, რომ პარალელების მოტანას აღარ შევუდგებით. თავის დროზე სავსებით მართებულად შენიშნავდა გ. ლომთათიძე, რომ ქართული მცირე წარწერების (ზოგჯერ მხოლოდ ცალკეული ასოების) სიმრავლე თიხის ჭურჭლებში, შუასაუკუნეებში მოსახლეობის ფართო ფენების წიგნიერებაზე უნდა მიუთითებდეს [23, გვ. 116].

ქარვასლის ტერიტორიაზე, შენობის საძირკველის ირგვლივ გამოვლენილ სამეთუნეო ნაწარმში ცალკე გამოიყოფა მოჭიქული კერამიკა, რომელთა შორის გვხვდება ერთფერად და მრავალფერად მოჭიქული ნიმუშები. მათი უმრავლესობა ჯამებია, თუმცა არის სხვა სახის ჭურჭელიც.

მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება ერთფერად და მრავალფერად მოჭიქული ნიმუშები. მათი უმრავლესობა ჯამებია, თუმცა არის სხვა სახის ჭურჭელიც.

1. ერთფერად მოჭიქულ კერამიკაში ჭარბობს მწვანედ მოჭიქული ნიმუშები. ქილის ანგობით დაფარული

შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. გარეპირი მოუჭიქავია (ტაბ. XII-56).

ნიჟარისებური მოყვანილობის ჭრაქის შიდაპირი მოჭიქულია მწვანე, უხარისხო ჭიქურით (ტაბ. XII-95). XVII-XVIII სს-ის ანალოგიური ფორმის, ოღონდ მოუჭიქავი ჭრაქები აღმოჩენილია: მცხეთაში, თბილისში, დმანისში, ლოქის ხეობაში, ნოსტეში და სხვ. [4, გვ. 113-115].

მწვანედ მოჭიქული ჯამები ხუთი ერთეულია. მათგან ოთხი ძირ-გვერდის ნატეხია, რომლებიც ხასიათდება შეღარულ-ამობურცული ძირით. უანგობო ან ანგობის ძალზე თხელი ფენით დაფარული ჯამების შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ (ტაბ. XII-25, 27, 28, 29).

გვიანდელი შუა საუკუნეების მწვანედ მოჭიქული ჯამები ცნობილია თელავიდან, გრემიდან, შემახადან [47, გვ. 79], უჯარმიდან [26, გვ. 187]. გვიანდელი შუა საუკუნეებისაა ჯავახეთის ახალქალაქში აღმოჩენილი მწვანედ მოჭიქული ჯამები [59, გვ. ტაბ. XII-2350]. XVII-XVIII სს-ით თარიღდება თბილისის დედაციხიდან მომდინარე მწვანედ მოჭიქული ჯამები [37, გვ. 190]. მრავლადაა ისინი აღმოჩენილი გონიოს ციხის XVIII-XIX სს-ის ფენებში [57, გვ. 135, ტაბ. IV-1]. ქარვასლის ტერიტორიაზე გამოვლენილი მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი პარალელური მასალების მიხედვით XVIII ს-ით უნდა დავათარილოთ.

2. ჯამის გვერდის ნატეხი მოხატულია ანგობის თეთრი ზოლებით. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური (ტაბ. XIII-88). მსგავსი ხერხით შემკული ჭურჭელი სამეცნიერო ლიტერატურაში XI-XII სს-ით თარიღდება

[36, გვ. 28-30]. შიშველ კეცზე ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამი აღმოჩნდა გაჯით შელესილი მრგვალი სვეტის ძირთან, გვიანდელი შუა საუკუნეების ფენაში და აღმოჩენის ვითარების მიხედვით მისი თარიღი უფრო XVI-XVII სს-ით უნდა განისაზღვროს.

3. თეფშის თეთრად ანგობირებული პირი შემკულია ამოკაწრული ხაზებითა და წრეებით, რომლებიც შევსებულია მოყავისფრო წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური (ტაბ. XIII-89). ჭურჭელი თავისი ფორმით გვიანდელი ნაწარმია. აღმოჩენის ვითარების მიხედვითაც ის უფრო XVII-XVIII სს-ით შეიძლება დავათარილოთ.

4. ჯამის ანგობირებული შიდაპირი შემკულია ამოკაწრული ხაზებითა და მოჭიქულია ცისფრად (ტაბ. XIII-34). მსგავსი ხერხით შემკული ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ძეგლებზე და მათ თარიღად XI-XII სს-ია მიღებული [36, გვ. 24, 25]. თუმცა, აღმოჩენის ვითარების მიხედვით ის აშკარად გვიანდელი შუა საუკუნეებისაა. ანალოგიურად შემკული ჯამების გვიანდელი ნიმუშებია აღმოჩენილი თბილისში - ანჩისხატის ეკლესიის უბანში [50, გვ. 34]. მართალია, მათ გამოთხრელები XI-XIII სს-ით ათარიღებენ, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ იქ მოპოვებული მასალის აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის ამოკაწრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამები გვიანდელი შუა საუკუნეების ნიმუშებია და მათთან ერთად აღმოჩენილი ცისფრად მოჭიქული ჯამები ერთიანი კონტექსტიდან არაა ამოვარდნილი. ქარვასლის

ტერიტორიაზე გამოვლენლი ჯამები XVII-XVIII სს-ს უნდა მივაკუთვნოთ.

მრავალფრად მოჭიქულ ჭურჭელში ორი ჯგუფი გამოიყოფა:

1. მრავალფრად მოჭიქული კერამიკის საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს ჯამები, რომელთა ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწვრით გამოყვანილია ფრინველებისა (მტრედების) (ტაბ. XIII-83, 85) და ჯვრის გამოსახულება (ტაბ. XIII-84). ჯამებზე ვხვდებით მცენარეულ ორნამენტსაც (ტაბ. XXXI-30).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყვითელი, მწვანე და სოსნისფერი საღებავით შევსებულია მხოლოდ კონტურებით შემოსაზღვრული ნაწილი. ჯამების დანარჩენი არე მოუჭიქავია. ძველი გავაზის მასალების განხილვისას ლ. ჭილაშვილმა ამგვარად მოჭიქული კერამიკა ცალკე ჯგუფად გამოყო, XIII ს-ის მეორე ნახევარი – XIV ს-ით დაათარიდა და მათ მოჭიქული ჭურჭლების იმიტაცია უწოდა [53, გვ. 28, 29]. ამგვარი ჯამები ჭიქურის დიდი მომჭირნეობითა და მოჭიქვის შედარებით მდარე ხარისხით გამოირჩევა. მკვლევარი მათ დამზადებას უკავშირებდა XIII ს-ის შუა ხანებიდან ჩვენში უარესობისკენ მკვეთრად შეცვლილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას, რამაც რა თქმა უნდა ასახვა კერამიკულ წარმოებაშიც ჰპოვა [53, გვ. 29]. ვფიქრობთ, მოჭიქული ჯამების იმიტაციები ჩვენში გვიანაც უმზადდებიათ. ამის დასტურია ქარვასლის ტერიტორიაზე, მრგვალი სვეტის ძირთან (ტაბ. XIII-83, 84, 85) და შენობის დასავლეთი კედლის საძირკველთან, გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურულ ფენაში აღმოჩენილი

ჯამი (ტაბ. XXXI-30), რომელთაც ჭიქური მხოლოდ ნაწილობრივ ამკობთ. აღნიშნული ჭურჭლები ჩვენ უფრო XVI-XVII სს-ის ნაწარმად მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ ძირ-ქუსლის ფორმა-მოყვანილობის მიხედვით ისინი საკმაოდ ახლოს დგანან ზემოთ აღწერილ ერთფერად (მწვანედ) მოჭიქულ ჯამებთან.

2. მოხატული ჯამებიდან აღსანიშნავია მოვარდისფრო ანგობზე ფუნჯით მწვანედ მოხატული ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. ჯამის გარეპირზე შეიმჩნევა ვერტიკალურად დაშვებული მწვანე ზოლები (ტაბ. XIII-73).

ცისფერი საღებავითაა მოხატული ჯამების ორი ნატეხი. ერთზე წრეში ჩასმული ვარდულია გამოსახული (ტაბ. XIII-26).

ანალოგიურად შემკული გვიანდელი შუა საუკუნეების მწვანედ და ცისფრად მოხატული ჭურჭელი ცნობილია თელავიდან [47, გვ. 80, ტაბ. XVI-4]. ამგვარი ჭურჭლები ჩვენში საკმაოდ გვიანობამდე, კერძოდ XIX ს-მდე არსებობდნენ [47, გვ. 81]. ქარვასლიდან მომდინარე ჯამები XVIII-XIX სს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

3. ჯამის ყვითლად ანგობირებულ შიდაპირზე, კალთაზე ყავისფერი და მწვანე საღებავით გამოყვანილია ვარდული. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური (ტაბ. XIII-86-87). ჯამი (2 ნატეხი) აღმოჩნდა შენობის სამხრეთი კედლის სამირკველისაგან დაზიანებულ აგურისკედლიან მეორე ორმოში, XVIII ს-ით დათარიღებულ, მოჩალისფროდ გამომწვარ ხელადებთან ერთად (ტაბ. X-76, 77, 78) და იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამები აღმოჩენილია თბილისში - ერეკლე II-ეს მოედანზე [13, ტაბ. XXXX, სურ. 200, 202; ტაბ. XXXXI, სურ. 285]. ერთ-ერთ, კერძოდ K-2 ორმოს, სადაც ამგვარი ჯამია გამოვლენილი, გამთხრელები VII-VIII სს-ით ათარიღებდნენ [13, გვ. 40]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორმოებისა და მათში აღმოჩენილი ნივთების თარიღები დიდი ხანია საკმაოდ საფუძვლიანადაა უარყოფილი [52, გვ. 148]. იქ გამოვლენილი ორმოები, ყველა თუ არა უმეტესობა მაინც გვიანდელი შუა საუკუნეებისაა. ჩვენი ჯამის ანალოგია თბილისშივე, ანჩისხატის ეკლესიის უბანში აღმოჩენილი მოჭიქული ჯამი (საინვ. №5/VI-15) [50, გვ. 42, 43, სურ. 15], რომელიც ასევე უმართებულოდ IX-X სს-ის ჭურჭლადაა მიჩნეული [50, გვ. 24].

რკინის ნივთები ყველა პირველ ორმოშია აღმოჩენილი. ესენია: სამფეხა ზედადგარი (ტაბ. V-38) ერთი შამფურისა (ტაბ. V-39) და ერთიც მოგრძო ლურსმნის(?) ნატეხები (ტაბ. V-40-41). ანალოგიური ნივთები დღევანდელ ყოფაშიც ფართოდაა შემორჩენილი. იმავე ორმოში გამოვლენილი კერამიკული ნაწარმის მსგავსად რკინის ნივთებიც XVIII ს-ით უნდა დავათარილოთ.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ლესელიძის ქუჩის №36-ში მდებარე ქარვასლის შენობის ტერიტორიიდან მომდინარე მასალა საკმაოდ საინტერესოა მისი გვიანდლობისა და იმის მიუხედავად, რომ ცნობილი მიზეზების გამო, იქ ვერ მოხერხდა არქეოლოგიური სამუშაოების ფართოდ გაშლა. გამოვლენილი მასალის დიდი ნაწილი მთელი ჭურჭლებია და ამდენად სრული

წარმოდგენა გვექმნება მათ ფორმებსა თუ ზომებზე, რასაც აქამდე ხშირ შემთხვევაში მოკლებული ვიყავით. გათხრებისას აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა შუა - საუკუნეების კერამიკის აქამდე თითქმის უყოყმანოდ გაზიარებულ ქრონოლოგიაში. გაირკვა, რომ კერამიკული ნაწარმის ზოგიერთი ფორმები (მილიანი ქოთნები, ქვაბქოთნები, ბადიები, სამტუჩა ხელაღები, სფეროკონუსები, მოჭიქული ჯამების იმიტაცია, ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამები და სხვ.) გვიანდელ შუა საუკუნეებშიც უმზადებიათ. და ბოლოს, ძველი თბილისის არქეოლოგიურ რუკას შეემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელთა რაოდენობაც ამ ბოლო ხანებში თბილისის ძველი უბნის ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობების გამო თანდათან იზრდება.

თ ა ვ ი II

არქეოლოგიური გათხრები სინაგოგაში

ტყავის ჩიხის №13-ში (კ. ლესელიძის ქუჩასთან) მდებარე 1900-იან წლებში აგებული⁶ სინაგოგის რეკონსტრუქციისას (სურ. II), საძირკვლისგასამაგრებლად ჩატარებულისამუშაოების დროს, შენობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თავი იჩინა სინაგოგაზე უფრო ადრეულმა ნაგებობამ და საკმაოდ მრავალრიცხოვანმა არტეფაქტებმა.

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციის მიერ სინაგოგაში ორი კვირის მანძილზე (16-31. I. 2007) ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი საინტერესო შენობა და არქეოლოგიური მასალა.

სინაგოგა ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე დამხრობილი ნაგებობაა (14,2X8,6 მ). შენობის სამხრეთ ნაწილში კულტურული ფენები გათხრებამდე უკვე განადგურებული იყო. სინაგოგაზე უფრო ადრეული ხანის

⁶ ბუკლეტში «საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნე» დედაქალაქში სინაგოგათა განლაგების რუკის ექსპლიკაციაში, ჩვენთვის საინტერესო ნაგებობასთან დაკავშირებით ვკითხულობთ – «აშკენაზების სალოცავი, ყოფილი ლახლუხების ლოცვა. ტყავის ჩიხი №13. აგებულია 1900-იან წლებში» [9, გვ. 12]. ზ. ჭიჭინაძე ევროპელი ებრაელების (აშკენაზების) შესახებ 1904 წ. აღნიშნავდა: «თფილისში მათ აქვს ორი სინაგოგა» [56, გვ. 90]. ავტორი არ მიუთითებდა მათ ადგილმდებარეობას, მაგრამ აღნიშნული ორისალოცავიდან ერთი ტყავის ჩიხის №13-ში მდებარე სინაგოგა უნდა იყოს.

ნაგებობა უკეთ იყო შემორჩენილი შენობის ჩრდილოეთ ნაწილში. თუმცა, არც მისი სრული სახით წარმოდგენაა შესაძლებელი. ნაგებობა შედგება ერთმანეთთან საერთო კედლებით დაკავშირებული ოთხი ოთახისაგან (ტაბ. XIV, XV).

№1 ოთახის (ტაბ. XV-1) დასავლეთი კედელი თითქმის მიბჯენილია სინაგოგის დასავლეთი კედლის საძირკველზე (სიგრძე 6,5 მ, სიგანე 1 მ, შემორჩენილი სიმაღლე 0,9 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კვადრატული ე. წ. «ქართული აგურის» ნატეხებით. შემაკავშირებელი მასალა მიწაა, რომელშიც მცირე რაოდენობით კირიც ურევია. ოთახის სამხრეთი კედელი მთლიანად იყო მონგრეული. რაც შეეხება ჩრდილოეთ კედელს, ის ნაგებია აგურით (21X22X5 სმ), მაგრამ არა ტრადიციული წყობით, არამედ აგურებით შედგენილი, ერთმანეთზე დალაგებული «კუბებით» (შემორჩენილი ზომები - სიგრძე 2,5 მ, სიმაღლე 0,75 მ). შემაკავშირებელი მასალა გაჯია (ტაბ. XV-1, ტაბ. XVII, განივი ჭრილი). კედლის ამგვარად შენებას მხოლოდ ერთი მიზანი უნდა ჰქონოდა – მასალის დაზოგვა. ბუნებრივია, რომ ასეთი კედელი მაინცადამაინც მტკიცე არ იქნებოდა. ოთახის აღმოსავლეთი კედელი, რომელიც საერთოა №1 ოთახისა და მის აღმოსავლეთით მიმდებარე სათონისათვის, 0,8 მ-ზეა შემორჩენილი. ნაგებია რიყის ქვისა და აგურის ნატეხების რიგთა მონაცვლეობით. რიყის ქვები ზედა რიგებში «წოლით» ანუ ირიბადაა დალაგებული. შემაკავშირებელი მასალა აქაც ტალახია, კირის მცირე მინარევებით. ოთახი 0,5 მ სისქის რიყის ქვის კედლით გატიხრული ყოფილა ორ არათანაბარ ნაწილად,

რომლებიც ერთმანეთს უნდა დაკავშირებოდა ტიხარის დასავლეთ ნაწილში არსებული გასასვლელით. გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა №1 ოთახიდან მომდინარეობს. იქ ძირითადად სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების კერამიკაა გამოვლენილი: «საქარიანი» თონე, ჩაფი, კოკები, მოზრდილი დერგი, ქილები და სხვ. ოთახი მასში აღმოჩენილი მასალის მიხედვით სამზარეულო ან საკუჭნაოა. საინტერესოა, რომ ოთახში გამოვლენილი ორი მოზრდილი კოკიდან ერთში ბარდა, მეორეში კი ხორბალი ინახებოდა. ოთახი ხანძრის ზემოქმედების შედეგად განადგურებულა. მიწატკეპნილ იატაკზე ყველგან შეიმჩნეოდა ხანძრის კვალი. ხოლო კედლების გასწვრივ დამწვარი ძელები იყო გადაქცეული (ტაბ. XV-1).

№2 ოთახი (ტაბ. XV-2) რიყის ქვის ტიხარით ორ ნაწილად გაყოფილი სათონეა, რომელშიც მიწაში პირამდე ჩადგმული ხუთი თონე აღმოჩნდა. სათონის ჩრდილოეთი კედელი აღარ შემორჩენილა. დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში აგურით მოპირკეთებული ნიშია (ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 0,6 მ, სიგანე 0,8 მ, სიღრმე 0,45 მ). აღმოსავლეთი კედელი აგურითა და რიყის ქვითაა ნაგები. აგურები ირიბად, «წოლითაა» დალაგებული. 0,8 მ სიგანის კედელი მხოლოდ 4,2 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. ის სინაგოგის სამირკვლისგანაა დაზიანებული. სათონის სამხრეთი კედელი საერთოა №1 ოთახის, სათონისა და მათ სამხრეთით მიმდებარე №3 ოთახისათვის, რომლის მხოლოდ სამხრეთი და აღმოსავლეთი კედელი,

აგრეთვე მცირე ფართობზე შემორჩენილი მიწატაკუბ-ნილი იატაკის დონე ფიქსირდება. ის საცხოვრებელი დანიშნულების უნდა ყოფილიყო, რადგან კედლებზე შემორჩენილია გაჯის ნალესობა (ტაბ. XV-3).

№3 ოთახს აღმოსავლეთიდან, ხოლო სათონეს სამხრეთიდან ეკვრის №4 ოთახი. მათ საერთო კედლები აკავშირებთ. ოთახი ძლიერაა დაზიანებული სინაგოგის კედლებით. თუმცა, მისი ფუნქციის გარკვევა არაა ძნელი. ესაა საცხოვრებელი დანიშნულების ოთახი, რომლის ჩრდილოეთ კედელში (შემორჩენილი სიგრძე 1,3 მ) ერთი, დასავლეთ კედელში (შემორჩენილი სიგრძე 3,2 მ) კი იატაკის დონიდან 20 სმ სიმაღლეზე განლაგებული სამი თაღოვანი ნიშია (ნიშების ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 1 მ, სიგანე 0,6 მ, სიღრმე 0,4 მ). ოთახი გაჯით იყო გალესილი. ისევე როგორც სხვაგან, აქაც ჩანდა ძლიერი ხანძრის კვალი – დამწვარი კედლები, ძელები, თიხის ჭურჭლები. ნაგებობა გადახურული ყოფილა კრამიტით. ამაზე მეტყველებს გათხრებისას მრავლად აღმოჩენილი ღარიანი და ბრტყელი კრამიტის ნატეხები. ამრიგად, განათხარი ნაგებობის სახით, საქმე გვაქვს XIX ს-ის თბილისისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელ შენობასთან, თავისი დამხმარე სამეურნეო სათავსოებით (ტაბ. XIV-XVII).

№1 ოთახისა და სათონის გამყოფი კედლის ქვეშ აღმოჩნდა აღწერილ ნაგებობაზე უფრო ადრეული შენობის კუთხის ნაშთი (ტაბ. XVI, ტაბ. XVII). კედელი დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე (შემორჩენილი სიგრძე 2,2 მ, სიგანე 0,8 მ, სიმაღლე 0,6 მ). აღმოსავლეთიდან მას ებმის მეორე კედელი,

რომელიც მხოლოდ 0,8 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. კედლები ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით ტალახზე. ზედა ფენის კედლებისაგან განსხვავებით, წყობაში არ ჩანს რიყის ქვა და აგური (ტაბ. XVI, XVII). ქვედა და ზედა კედლებს შორის დაახლოებით 10 სმ სისქის სტერილური ფენაა. აღსანიშნავია, რომ ქვედა ფენის ნაგებობაც ძლიერ ცეცხლშია მოხვედრილი. ქვედა ფენის კუთვნილებაა აგრეთვე №4 ოთახის იატაკის ქვეშ გამოვლენილი თონის ძირი (ტაბ. XVI-4). ვფიქრობთ, ქვედა ფენის ნაგებობა განადგურდა 1795 წ. სექტემბერში ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს.

ცნობილია, რომ დანგრეულ-გადამწვარი დედაქალაქი დიდი ხნის მანძილზე მწყობრში ვერ ჩადგა. რუსულ ხელისუფლებას თბილისი დანგრეული დახვდა. სანამ მშენებლობის საქმე კალაპოტში ჩადგებოდა, კარგა ხანი გავიდა. ქალაქის გაწმენდა და ქუჩების მოწესრიგება ათეულ წლობით გაგრძელდა [7, გვ.37].

ძნელი სათქმელია კონკრეტულად როდის, მაგრამ 1795 წ. ტრაგედიის შემდეგ, XIX ს-ის დასაწყისში, იქ გაუმართავთ ნაგებობა, რომელიც შემდგომ ასევე ხანძრისგან განადგურებულა. თუმცა, ეს ხანძარი უკვე აღარ უკავშირდება მტრის შემოსევას. ბუნებრივია, დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში ნახანძრალ ნანგრევებს დიდხანს არავინ დატოვებდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1900-იან წლებში ამ ადგილას უკვე სინაგოგას აშენებენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიერ გათხრილ ზედა ფენის ნაგებობას დაახლოებით 70-80 წელი უარსებია. ოთახებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც კარგად

ეთანხმება და ამაგრებს ზედა ფენის ნაგებობის თარიღს (XIX ს-ის დასაწყისი _ XIX ს-ის 70-80-იანი წწ.).⁷

ზედა ფენის განათხარ ნაგებობასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ XVIII ს-ის პირველი ნახევრის ერთი საინტერესო ცნობა. თბილისის აღწერისას ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: «სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვიტკირისანი არიან» [44, გვ. 3385-7]. ეს ცნობა კარგად მიესადაგება სინაგოგაში გამოვლენილ ძველთბილისურ ნაგებობას, რომლის მშენებლობაში ქვა-ტალახი და გაჯია გამოყენებული. ჩანს, გაჯი მხოლოდ შენობათა გასალესად არ გამოიყენებოდა. გაჯზე ნაგები (და შემდგომ გაჯითვე შელესილი) ქარვასლის ტერიტორიაზე მიკვლეული, ზემოთ უკვე ნახსენები, XVII-XVIII სს-ის მრგვალი სვეტი (ტაბ. II). შემაკავშირებელ მასალად გაჯია გამოყენებული სინაგოგაში გამოვლენილი ნაგებობის №1 ოთახის ჩრდილოეთი კედლის მშენებლობისას (ტაბ. XVII, განივი ჭრილი).

ცნობილია, რომ გვიანდელი შუა საუკუნეების თბილისური სახლის ეზოში საცხოვრებელი ნაგებობის გარდა, იდგა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც: სათონე, მარანი, საჯინიბო, საბძელი [16, გვ. 440]. ამის

⁷ ხანძრის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე სინაგოგის აშენებამდე, მცირე ხნით (დაახლ. ალბათ 10-20 წლის განმავლობაში) კვლავ სამოსახლო გაუმართავთ. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ №1 ოთახის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ჩაჭრილია მოგვიანო ხანის ორმოთი (ტაბ. XV), რომელშიც კუხნეცოვის ფაბრიკის მიერ დამზადებული ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

შესახებ არაერთი ცნობა მოიპოვება XVII-XVIII სს-ის დოკუმენტებში. მოვიყვანო ზოგიერთ მათგანს: «გიბოძეთ დარბაზი, შიგნით დიდი სახლი, სათორნე, აქათ მარანი, მისის ჭურითა, მარანს წინ სახლი» [14, გვ. 19]; «სახლებისაგან ერთი დარბაზი და ერთი სათორნე და ერთი საჯინიბო და მისი საბძელითა და ერთი დერეფანა და მას ქუეშეთა სარდაფი» [14, გვ. 29, 30]; «გერგო მამისეული სახლ-კარისაგან დარბაზი ... მარანი, კიდევ დარბაზის მოკიდებით სათორნე, დარბაზის წინ დერეფანი, ამ დერეფნის ქვეშ სარდაფი ... შუა საზიარო კედელი» [14, გვ. 75]; «არის ამ სახლების სამძღვარი: თავი სათორნისა და მარნის კედელი» [14, გვ. 208]. როგორც ვნახეთ, თითქმის ყოველთვის, თბილისური საცხოვრებელი სახლის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა სათონე, მარანი, საჯინიბო, საბძელი, სარდაფი. განათხარი ნაგებობის მიხედვით, რომელიც საკმაოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, საჯინიბოზე, საბძელსა და სარდაფზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ სახეზე გვაქვს საკმაოდ კარგად შემონახული სათონე (ტაბ. XV-2). მართალია, აქ მარნის კვალს ვერ მივაგენით, მაგრამ კომპლექსის შემადგენლობაში მარანიც რომ უნდა ყოფილიყო, ამაზე მიგვითითებს გათხრებისას აღმოჩენილი ქვევრების ნატეხები (ტაბ. XVIII-15, 19). განათხარი შენობიდან კარგად ჩანს, რომ საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები ერთმანეთზე იყო გადაბმული და მათ საერთო კედლები ყოფდათ (ტაბ. XV). თბილისურ სახლებში ცალკეულ ნაგებობებს შორის «საზიარო კედლების» შესახებ ზემოთ მოყვანილი ცნობებიც მიგვითითებს [14, გვ. 75].

ნაგებობის გათხრებმა გამოავლინა მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა⁸, რომელიც მართალია არ გამოირჩევა თავისი სიძველით, მაგრამ კარგად ხერხდება მათი ფორმების სრულად წარმოდგენა. არტეფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა თიხის ნაწარმია, რომელშიც გამოირჩევა სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების თიხის ნაწარმი – ჭრაქები, ჩიბუხები. იქვეა აღმოჩენილი მინის რამდენიმე ჭურჭელი და ქვის ორიოდე ნივთი.

სამეურნეო კერამიკის ჯგუფს განეკუთვნება თონეები. გათხრებისას შვიდი სხვადასხვა ზომის თონე გამოვლინდა. ერთი აღმოჩნდა №1 ოთახში; ხუთი სათონეში; ერთი, რამდენადმე ადრეული თონის ნაშთი მიკვლეულ იქნა №4 ოთახის იატაკის ქვეშ (ტაბ. XV-XVI). დიდი თონეები ცილინდრული ფორმისაა, პროფილირებული პირით. ზოგიერთს პირზე შემოუყვება თოკისებური ორნამენტის სარტყელი. თონეები მიწაში პირამდე იყო ჩადგმული. მხოლოდ ერთს, №1 ოთახის თონეს ჰქონდა «საქარე», წყალსადენის ორი მილის სახით (მილის სიგრძე 43 სმ, დმ 8 სმ). სათონეში გამოვლენილი ორი შედარებით პატარა თონე (ზომები: სიმაღლე 70 სმ, დმ 40-60 სმ, კეცის სისქე 2 სმ) მთლიანია. რაც შეეხება დიდ თონეებს, ისინი შედგენილი იყო სამსამი თანაბარი ზომის ნაწილისაგან. დიდი თონეები

⁸ მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ყველა თითქმის ერთი ზომისაა – სიმაღლე 1 მ, დმ 80 სმ, კეცის სისქე 3 სმ.

თონეები მრავლადაა აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის შუა საუკუნეების ძეგლებზე, ამიტომ აღწერილი თონეებისათვის მხოლოდ დროსა და სივრცეში ახლო მდგარ პარალელებს მოვიშველიებთ. «საქარიანი», პირზე თოკისებური ორნამენტით შემკული, ჩვენი თონეების მსგავსი ნიმუშები გამოვლენილია თბილისში - ერეკლე II-ეს მოედანზე, მეორე კულტურულ ფენაში, რომელსაც გამთხრელები ზოგადად XV-XVIII სს-ს მიაკუთვნებდნენ. იქვეა მიკვლეული სამი ნაწილისაგან შედგენილი ცილინდრული ფორმის თონეც [13, გვ. 17, 18, ტაბ. 14, სურ. 4, ტაბ. 17, სურ. 4, 5]. თონეების სამ-სამ ნაწილად დამზადების წესი კარგადაა ცნობილი ეთნოგრაფიული მასალების, კერძოდ კახური მეთუნეობის მიხედვით [10, გვ. 142].

ქვევრები ნატეხების სახითაა შემორჩენილი. ქვევრის პირ-ყელი გარედან ანგობირებულია (ტაბ. XVIII-15). გვერდის ნატეხი შემკულია თოკისებური სარტყელით (ტაბ. XVIII-19). მსგავსი ორნამენტის მქონე ქვევრები ცნობილია: თბილისიდან - ერეკლე II-ეს მოედნიდან [13, ტაბ. 27, სურ. 162], ქუთაისის ციხის ტერიტორიიდან [17, გვ. 21], უფლისციხის გვიანდელი შუა საუკუნეების ფენებიდან [34, ტაბ. XIV-2].

დერგი პირმოყრილია, ფართო ბაკოთი. ტანი მაღალია, ძირი - ვიწრო. ტანი შემკულია ხუთი თოკისებური სარტყელით, რომელთაც ზემოდან შემოსდევს წერნაქის ფართო ზოლი (ტაბ. XVIII-65). ჭურჭელი აღმოჩნდა №1 ოთახისსამხრეთნაწილში, იატაკის დონეზე.

ანალოგიური ორნამენტით შემკული დერგის ფრაგმენტი გამოვლენილია ქარვასლის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრებისას, XVIII ს-ის კულტურულ ფენაში (საინვ. №99).

განსხვავებული ტიპისაა მეორე დერგი, რომელიც პირ-ყელის ნატეხითაა შემორჩენილი. ჭურჭლის ფართო პირი შეღებილია წერნაქით. ზედაპირი ანგობირებულია. პირსა და ყელზე შემოუყვება ამოღარული კონცენტრული ხაზები და თოკისებური ორნამენტი. ყელზე შემორჩენილია წერნაქით შეღებვის კვალი. თიხა წვრილმარცვლოვანია, კეცი გადანატეხში მუქი (ტაბ. XVIII-18). მსგავსი ფორმის დერგის პირ-ყელის ნატეხი აღმოჩნდა ქარვასლის გათხრებისას XVIII ს-ის კულტურულ ფენაში (საინვ. №62).

სამზარეულო დანიშნულების კერამიკიდან განათხარ მასალაში გვხვდება კოკები. ფორმა-მოყვანილობითა და ზომებით ისინი თითქმის ერთნაირია. ყველა აღმოჩნდა №1 ოთახის იატაკზე. ჭურჭლებს ახასიათებს შესქელებული მრგვალი პირი, ქვემოთ გაფართოებული დაბალი ყელი, განზიდული მხრები. მაღალი ტანი ქვემოთ მკვეთრად ვიწროვდება. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ზოგიერთს პირსა და მხარზე შემოუყვება დაუდევრად გამოყვანილი წერნაქის ფართო, ტალღოვანი ზოლები (ტაბ. XIX-62). ზოგიერთს ტანი შემკული აქვს წერნაქის წინწკლებით (ტაბ. XIX-61, 66). ერთ-ერთ მათგანზე გამოწვის შემდეგ მხარზე მკრთალად ამოუკაწრავთ ურთიერთგადამკვეთი ხაზები, ხოლო მუცელზე «თავთავისებური» ორნამენტი (ტაბ. XIX-61). საინტერეს-

ოა, რომ კოკები მარტო სითხის შესანახი ჭურჭლები არ ყოფილა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთ კოკაში აღმოჩნდა ხორბალი (ტაბ. XVIII-62), მეორეში - ბარდა (ტაბ. XIX-63).

წერნაქით დაწინწკლული კოკების პარალელების ძიებისას უნდა გავიხსენოთ ანჩისხატთან, ავლევისა და მამაცაშვილის ქუჩებზე გამოვლენილი, გ. ლომთათიძისა და ი. გძელიშვილის მიერ გამოქვეყნებული არქეოლოგიური მასალა. გამთხრელების ცნობით, იქ აღმოჩენილია ჭურჭლების «ყელის, გვერდის, ყურისა თუ ძირის ნატეხები, რომელთა ზედაპირი მთლიანად ან წინწკლებისა და ხაზების სახით შეღებილია წითელი საღებავით». ფაიანსისა და ერთფერად მოჭიქული კერამიკის გარდა არქეოლოგიური მასალის უმრავლესობას ავტორები XI-XIII სს-ს მიაკუთვნებდნენ [27, გვ. 22]. ვფიქრობთ, იქ გამოვლენილი წერნაქით დაწინწკლული და წერნაქით შეღებილი კერამიკის ნიმუშები გვიანდელ შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდნენ.

ანალოგიური ფორმის წერნაქით დაწინწკლული კოკა ცნობილია ასევე თბილისიდან, ქარვასლის ტერიტორიაზე გამოვლენილი XVIII ს-ის კულტურული ფენიდან (ტაბ. VII-53). უნდა აღინიშნოს, რომ ჭურჭლის ეს ფორმა ეთნოგრაფიულ ყოფაში საკმაოდ გვიანობამდეა შემორჩენილი [10, ტაბ. XXXII, სურ. 1].

ქოთნებიდან ერთი პირგაშლილია, ფართოყელიანი, მხრებდაშვებული. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ძირი ფართოა (ტაბ.

XX-71). ჭურჭელი უხეშად, დაუდევრადაა ნაძერწი. აღმოჩნდა №4 ოთახის იატაკის დონეზე.

სათონში, თონის პირთანაა გამოვლენილი პატარა ქოთანნი, რომელიც ხასიათდება გაშლილი პირით, დაბალი ყელით, დაშვებული მხრებითა და ვიწრო ძირით. მხრები შემკულია წერნაქის ტალღოვანიფართო ზოლით (ტაბ. XX-70), რომელიც ძალზე დამახასიათებელი დეკორია ნაგებობაში აღმოჩენილი ჭურჭლები-სათვის.

ქილებიც ორი განსხვავებული ტიპისაა. ქილას აქვს ოთხკუთხაგანიკვეთიანი პირი და დაბალი ყელი. მხრები განზიდულია. ტანი მაღალია, ქვემოთ მკვეთრად დავიწროებული. მხარი და ტანის ქვედა ნაწილი შემკულია თოკისებური ორნამენტით, რომელზეც შემოუყვება წერნაქის ფართო ზოლი. მხარი და ტანი შემკულია საკმაოდ დაუდევრად გამოყვანილი წერნაქის ფართო, ტალღოვანი ზოლებით (ტაბ. XX-64). ქილა აღმოჩნდა №1 ოთახის იატაკზე. ანალოგიური ფორმის ქილები კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს XIX ს-ის ეთნოგრაფიული მასალებიდან [6, ტაბ. LIX].

იქვე, ახლოსაა გამოვლენილი განსხვავებული ტიპის მეორე ქილა, რომელიც ხასიათდება მომაღლო, ცილინდრული მოყვანილობის პირ-ყელით. ყელსა და მხარზე შემოუყვება წერნაქის ფართო, სწორხაზოვანი და ტალღოვანი სარტყელი. მხარზე გამოყვანილია ოდნავ შესამჩნევი ამოღარული ტალღოვანი ორნამენტი. ტანი შემკულია ანგობის ვერტიკალური ზოლებით (ტაბ. XX-67).

აღწერილი ქილების მსგავსადაა შემკული (თოკისებური ორნამენტი, წერნაქის ფართო ზოლები) იმავე ოთახში გამოვლენილი დერგი (ტაბ. XVIII-65), კოკები (ტაბ. XIX-62, 63), სათონეში აღმოჩენილი ქოთანი (ტაბ. XX-70) და სხვ.

სუფრის ჭურჭელში გვხვდება ხელალები და სურები. მთლიანადაა შემორჩენილი სათონეში, თონის პირას აღმოჩენილი მრგვალპირიანი ხელადა ქვემოთ დავიწროებული ყელით. ტანი შემკულია წერნაქის ფართო, ტალღოვანი ზოლითა და წინწკლებით (ტაბ. XXI-72). ფორმა-მოყვანილობით ის ძალზე წააგავს №1 ოთახში აღმოჩენილ წერნაქიან ხელადას (ტაბ. XXI-60).

განსხვავებული ტიპისაა ხელადა ფართო, მაღალი, წიბოიანი ყელით, რომელზეც მიერთებულია ოვალურგანივკვეთიანი ყური. ყელის ქვედა ნაწილს ამკობს ქვემოდან გამობერილი ლილვი, რომელზეც შემორჩენილია კიდევ ერთი ყურის კვალი. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. XXII-17). ჭურჭელი განეკუთვნება ე. წ. ორმაგყურიან ხელადას. ერთი ასეთი ორმაგყურიანი წერნაქით შეღებილი ხელადა აღმოჩნდა №1 ოთახში (ტაბ. XXV-58).

სურის პირ-ყელის ნატეხი ხასიათდება მრგვალი, გაშლილი პირით. მაღალსა და ვიწრო ყელს ამკობს შიგნიდან გამობერილი ლილვი. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. XXII-2). ასეთივე ლილვი ამკობს ზემოთ აღწერილ მოჩალისფროკეციან ხელადას (ტაბ. XXII-17) და №1 ოთახში აღმოჩენილ უკვე ნახსენებ წერნაქით შეღებულ ორმაგყურიან ჭურჭელს (ტაბ. XXV-58). სამივე არტეფაქტი ერთმანეთის თანადროულია.

ჯამებიდან ზოგიერთს აქვს ნაჭდევებით შემკული ფართო ბაკო (ტაბ. XXIII-25). ჯამების ერთი ნაწილი ხასიათდება შესქელებული, სწორი პირით (ტაბ. XXIII-27, 28). ზოგიერთს მხარზე შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი სარტყელი (ტაბ. XXIII-24). ჭურჭლების ერთ ჯგუფს აქვს ფართოდ გაშლილი პირი (ტაბ. XXIII-21). მათშიც გვხვდება ამოღარული ტალღოვანი სარტყელით მხარშემკული ნიმუშები (ტაბ. XXIII-26). ყველა მათგანი გამომწვარია მოჩალისფროდ. ზოგჯერ კეცი გადანატეხში მუქია. ფორმებით, თიხის სტრუქტურით, კეცის ფერით ისინი გვიანდელი შუა საუკუნეების ტიპური ჭურჭლებია [13, ტაბ. 21, სურ. 90, ტაბ. 23, სურ. 94, 95, ტაბ. 32, სურ. 247].

სხვადასხვა დანიშნულების კერამიკას შორის გვხვდება ორი ტიპის ჭრაქი. ლულიანი ჭრაქი, რომელიც ნაყარი ფენიდან მომდინარეობს, ნაკლულადაა შემორჩენილი (ტაბ. XXII-1). ფიქრობენ, რომ მილიანი ჭრაქები სამხრეთ კავკასიაში დაახლოებით VIII-IX სს-დან ჩნდება [41, გვ. 56]. ამგვარი ჭრაქები აღმოჩენილია დვინის ცენტრალური კვარტლის IX ს-ის ფენაში [69, ტაბ. XXVI]. ორენ-ყალადან ცნობილია მილიანი ჭრაქების როგორც IX-X, ისე XI-XIII სს-ის ნიმუშები [65, გვ. 220, 221, ტაბ. XIII]. მსგავსი ფორმის ჭრაქები აღმოჩნდა უჯარმაში [26, გვ. 231], უფლისციხეში, კვეტერის ციხეზე [34, ტაბ. XX-3; 35, ტაბ. LVII-40, 160, 855, 1931]. გვიანდელი შუა საუკუნეების მილიანი ჭრაქები ცნობილია თელავიდან [46, გვ. 79], გრემიდან [54, გვ. 121, სურ. 55]. ანალოგიური ჭრაქები გვხვდება თბილისში - ერეკლე II-ეს მოედნის არქეოლოგიურ

მასალაში. ძეგლის გამთხრელები მათ V-VII სს-ს მიაკუთვნებდნენ [13, გვ. 46, ტაბ. 19, სურ. 27, ტაბ. 21, სურ. 40, ტაბ. 29, სურ. 193, 194, 198, 199], რაც სრულიად უმართებულო თარიღია. ისინი გვიანდელი შუა საუკუნეების ჭრაქებია.

განსხვავებული ტიპისაა ე. წ. ვაზისებური ჭრაქი, რომლის ზედა ნაწილი საპატრუქიანი პატარა ჯამია, ქვედა ნაწილი - ლამბაქი. ისინი ერთმანეთს უკავშირდება წიბოიანი ფეხით. ყური მიერთებულია ჯამის მხარსა და ლამბაქის პირზე. გამომწვარია მოჩალისფროდ. კეცი გადანატეხში მუქია (ტაბ. XXII-20).

ვაზისებური ჭრაქები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ისინი გვხვდება აზერბაიჯანში [66, გვ. 974, ტაბ. II, სურ. 2, 3], სომხეთში [73, სურ. 156; 71, გვ. 74, ტაბ. XVIII, სურ. 4, 5, 6; 72, ტაბ. XII, სურ. 4], შუა აზიაში [75, გვ. 62]. გვიანდელი შუა საუკუნეების ამგვარი ჭრაქები ჩვენში აღმოჩენილია: თბილისში - ერეკლე II-ეს მოედანზე, რუსთავში [4, გვ. 115, 116], თელავში [46, გვ. 79], გრემში [54, გვ. 122, სურ. 54]. ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი გამოვლენილია თბილისის დედაციხეზე (110 ცალი) XVI-XVIII სს-ის მასალებთან ერთად [4, გვ. 117]. მათ შორის გვხვდება მოჭიქული ნიმუშებიც [37, ტაბ. III]. XVII-XVIII სს-ით თარიღდება თელავიდან მომდინარე ამგვარი ჭრაქები [46, გვ. 79, 80]. სინაგოგის ტერიტორიიდან მომდინარე ჭრაქები უფრო XVIII ს-ით შეიძლება დავათარილოთ. ფიქრობენ, რომ ჭრაქის ეს ფორმა ჩვენში მუსულმანური სამყაროდან უნდა იყოს შემოტანილი იმ დროს, როცა ამ

ელემენტის მომძლავრება პოლიტიკური მიზეზებით ძალზე გაძლიერდა [4, გვ. 117].

ორი ჩიბუხიდან ერთი გამომწვარია ნაცრისფრად (ტაბ. XXII-4), მეორე - წითლად (ტაბ. XXII-47). უკანასკნელი წერნაქით შეღებილ-ნაპრიალებია. ორივე შემკულია რელიეფური ორნამენტით. ჩიბუხები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლებზე. ისინი გვხვდება: თბილისში, გორში, ყარაღაჯში, მცხეთაში, რუსთავში, გრემში, გუდარეხში, დმანისში, ნადარბაზევში, თელავში, იყალთოში; ქვემო ქართლის ნასოფლარებზე – რკინის წყალი, ძველი ბოგვი, ფოლადაური; სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – ახალქალაქი, ახალციხე, ვარძია, ვანის ქვაბები, ქუთაისი, წაქვინჯა [4, გვ. 119], გონიო [19, გვ. 45, 46] და სხვ. ჩიბუხები ფორმებისა და ორნამენტის საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილი ჩიბუხები ძირითადად XVII-XVIII სს-ით თარიღდება. ფიქრობენ, რომ მათი ნაწილი XIX ს-ის დასაწყ. განეკუთვნება. ჩვენში მათ გავრცელებას ირან-ოსმალთა შემოსვლასა და ხანგრძლივ ბატონობას უკავშირებენ [4, გვ. 129].

* * *

განათხარ მასალაში საინტერესო ჯგუფს შეადგენს №1 ოთახში აღმოჩენილი წერნაქით შეღებილი კერამიკა, რომელთაც ცალკე განვიხილავთ. მასში გამოირჩევა სამზარეულოდასუფრის ჭურჭელი.

ტუჩიან, ყელწიბოიან ჩავს ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებული აქვს ყელსა და მხარზე. ზედაპირი წერნაქით შეღებილ-ნაპრიალებია. მხრები შემკულია ორ ფრიზად განლაგებული ამოკაწრული «თევზიფხური» ორნამენტითა და ხუთფურცლა ვარდულებით. ტანზე დაუყვება წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლები (ტაბ. XXIV-69). ფორმა-ზომებითა და შემკულობით აღწერილი ჭურჭლის თითქმის ზუსტი ანალოგია აღმოსავლეთ საქართველოს (ზაქათალა) XIX ს-ის ეთნოგრაფიული მასალებიდან კარგად ცნობილი ჩაფი [6, ტაბ. XIV].

კოკას აქვს რელიეფური სარტყელებით შემკული დაბალი ყელი და გამობერილი მუცელი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ხაოიანი ზედაპირი შეღებილია წერნაქით. ყელის ქვედა ნაწილზე შემოუყვება ამოღარული სარტყელები. მხრები შემკულია ამოღარული «თევზიფხური» ორნამენტით (ტაბ. XXV-59). ანალოგიური ფორმა-მოყვანილობისა და ორნამენტის მქონე XVII-XVIII სს-ით დათარიღებული მოზრდილი ჭურჭელია აღმოჩენილი თბილისის დედაციხეზე [3, გვ. 176, 178, ტაბ. II].

ხელადის ვიწრო და მაღალი ყელი შემკულია ამოღარული სარტყელებითა და შიგნიდან გამობერილი ლილვით. ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა. ორმაგი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. წერნაქით შეღებილ ხაოიან ზედაპირზე ამოღარულია «თევზიფხური» ორნამენტი, ტალღოვანი და სწორი

ხაზები. ტანზე დაუყვება წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლები (ტაბ. XXV-58).

მსგავსი ფორმისა და შემკულობის ორმაგყურიანი ხელალები ცნობილია ნარიყალადან [3, გვ. 177, ტაბ. III-2]. XVIII ს-ით დათარიღებული ასეთივე ჭურჭელი მომდინარეობს ქარვასლის არქეოლოგიური მასალიდან (ტაბ. XII-51). მსგავსი ხელადა ცნობილია დმანისიდან [62, ტაბ. VIII]. ანალოგიური ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩენილია მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავნის სამხრეთ კედელთან [3, გვ. 177]. მართებულად აღნიშნავდა თ. არჩვაძე, რომ «ამგვარად შემკული ჭურჭელი საქართველოს გარეთ ... არსად გვხვდება. ეტყობა, იგი ქართული კერამიკისათვის არის დამახასიათებელი. განსაკუთრებით ბევრია იგი ჩვენში გვიანფეოდალური ხანის ჭურჭლებზე. თევზიფხური ორნამენტი ტრადიციულად დღემდე შემორჩა ქართულ კერამიკას» [3, გვ. 178].

წერნაქით შეღებილი და «თევზიფხური» ორნამენტით შემკული ხელალები და დოქები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ქვემო ქართლის კლდის ძეგლებზე [5, გვ. 135, 151]. ძეგლების გამთხრელი ნ. ბახტაძე იზიარებს თ. არჩვაძის მიერ ამგვარი ჭურჭლების გვიანდელი შუა საუკუნეებით დათარიღებას. თუმცა, მიაჩნია, რომ წერნაქით შეღებილი და «თევზიფხური» ორნამენტით შემკული ჭურჭლები უნდა ემზადებინათ როგორც განვითარებულ, ისე გვიანდელ შუა საუკუნეებში. ქვემო ქართლის კლდის ძეგლებზე გამოვლენილ ამგვარ ჭურჭლებს ის XIV-XV სს-ის მიჯნაზე გაჩენილი კულტურული ფენიდან მომდინარე მასალებად

მიიჩნევს [5, გვ. 151, 152]. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული ამგვარი ჭურჭლების თარიღის დაძველება. აღმოსავლეთ საქართველოს და მათ შორის ქვემო ქართლის მთელ რიგ ძეგლებზე გამოვლენილი ამგვარი ჭურჭლების ფორმები თუ შემკულობა სრულიად არაა დამახასიათებელი განვითარებული შუა - საუკუნეებისათვის. ვერც თ. არჩვაძის იმ აზრს გავიზიარებთ, რომ «მომავალი გათხრა-შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს არსებულ მასალაშივე გამოიყოს უფრო ადრეული, კერძოდ XIV-XV სს მისაკუთვნიებული ნიმუშები» [3, გვ. 186]. წერნაქით შეღებილი და «თევზიფხური» ორნამენტით შემკული დოქები და ხელადები გვიანდელი შუა საუკუნეების ნაწარმია, რომლებიც XIX ს-შიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა.

ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ხელადა ამოდარული სარტყელებით შემკული, მაღალი, ვიწრო ყელით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ხაოიანი ზედაპირი წერნაქითაა შეღებილი (ტაბ. XXV-68).

ხელადა ხასიათდება გაშლილი მრგვალი პირითა და პატარა ტუჩით. ყელი ფართოა, დაბალი, ქვემოთ შევიწროებული. მხრები და მუცელი დაშვებულია. ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ყელზე შემოუყვება ამოდარული სარტყელი. შეღებილია ღია ფერის წერნაქით (ტაბ. XXI-60).

წერნაქითაა შეღებილი მილიანი დოქი, რომელიც მილის ნატეხითაა შემორჩენილი (ტაბ. XXI-3). სადა, მოჭიქული თუ წერნაქით შეღებილი მილიანი დოქები და

ხელაღები მრავლადაა ცნობილი საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლებიდან. წერნაქით შეღებილი მილიანი ხელაღები აღმოჩენილია: ნარიყალაზე, მცხეთაში, რუსთავში და სხვ. [3, გვ. 179, 180].

სურას აქვს ოდნავ გაშლილი პირი და პატარა ტუჩი. ყელი ვიწროა, მაღალი. ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ამოდარული სარტყელებით შემკულ ყელსა და მუცელზე. წერნაქით შეღებილი ზედაპირი ხაოიანია (ტაბ. XXV-57).

აღწერილი წერნაქიანი ჭურჭლები, ერთის გარდა (ტაბ. XXI-3), ყველა №1 ოთახში, იატაკის დონეზეა აღმოჩენილი და მათი თარიღი XIX ს-ით განისაზღვრება.

მათი თანადროული ჩანს გათხრებისას სხვადასხვა ადგილას გამოვლენილი წერნაქიანი ბადია (ტაბ. XXIII-23) და თევშები (ტაბ. XXI-7, 22). მსგავსი ფორმის თევშები ცნობილია: თელავიდან [46, გვ. 78], დმანისიდან [62, ტაბ. LXVIII-7], თბილისიდან - ერეკლე II-ეს მოედნიდან [13, გვ. 78, ტაბ. 37, სურ. 320], ნარიყალადან [3, გვ. 183] და გვიანდელი შუა საუკუნეების არაერთი სხვა ძეგლიდან.

სადა კერამიკული ნაწარმის უმეტესობის ზედაპირი ხაოიანია. მათ შორის ზოგიერთი წერნაქით შეღებილი ცალებისაც. კერამიკის შესამკობად გამოყენებულია: თოკისებური სარტყელები, წიბოები, ნაჭდევები; სუსტად ამოკაწრული სწორი და ტალღოვანი სარტყელები; ამოკაწრით გამოყვანილი ან წნევით დატანილი

«თევზიფხური» ორნამენტი თუ ხუთფურცლა ვარდულები; წერნაქის ფართო სწორი და ტალღოვანი ზოლების სარტყელები; წერნაქით დაწინწკვლა; წერნაქით შეღებვა და ზოგჯერ გაპრიალება; წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლები.

მოზრდილ ჭურჭლებს სიმაგრისათვის შიდაპირზე შემოუყვებათ ერთი ან ორი რელიეფური სარტყელი. თიხა უპირატესად მსხვილმარცვლოვანია. ჭურჭლები გამომწვარია წითლად ან მოჩალისფროდ. კეცი გადანატეხში ხშირად მუქია. რაც შეეხება წერნაქით შეღებულ კერამიკას, რომელიც როგორც ფორმებით, ისე ორნამენტით გვიანდელი შუა საუკუნეების თბილისისათვის ძალზე დამახასიათებელი ნაწარმია, მისი თიხა წმინდადაა განლექილი. მკვრივი კეცი გადანატეხში წითელი და ნაცრისფერია.

* * *

მოჭიქულ კერამიკაში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა. მათში ყველაზე ადრეული ჩანს სხვადასხვა დონეზე აღმოჩენილი მრავალფრად მოჭიქული ჯამები, შემკული ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებით. ჯამზე ამოკაწრული მტრედის გამოსახულება შევსებულია ყვითელი, მწვანე და ანგობის თეთრი ფერით. ფრინველის მკერდზე გამოსახულია «გული» (ტაბ. XXVI-48). ანალოგიური ორნამენტი ამკობს მეორე ჯამსაც (ტაბ. XXVI-49). ერთ-ერთ ჯამზე ამოკაწრულია ყვითელი საღებავით შევსებული ლომის ტანი (ტაბ. XXVI-44). ყველა ჯამზე ფონი შევსებულია ანგობის თეთრი ფერით, აგრეთვე მწვანე რტოყლორტოვანი

ორნამენტითა და სოსნისფერი წერტილებით. ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებებით შემკული მრავალფრად მოჭიქულ ჯამებს XII-XIII სს-ით ათარიღებდნენ [36, გვ. 37-42]. ამგვარი ჯამები გვხვდება თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, რომლის დანგრევის თარიღადუკანასკნელ ხანებში უკვე XIV ს-ის მიწურულია მიჩნეული [55, გვ. 51-53; 63, გვ. 38-56].

ამოკაწვრით მოხატული და ერთფერად – მწვანედ და ცისფრად მოჭიქული ჭურჭლები რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი. ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული ხაზები. მოჭიქულია მწვანედ (ტაბ. XXVI-43). ლარნაკის ანგობირებული მხარი შემკულია ამოკაწრული მცენარეული ორნამენტ-ით (ტაბ. XXVI-11).

მათი თანადროული ჩანან ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამებისა (ტაბ. XXVI-29, 32) და ლარნაკის (ტაბ. XXVI-31) ნატეხები. ისინი ნაყარ ფენაშია აღმოჩენილი. საერთოდ, ამოკაწვრით მოხატულ მწვანედ და ცისფრად მოჭიქულ ჭურჭლებს XI-XII სს-ით ათარიღებდნენ [36, გვ. 23-25]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ კეციტ ჩვენი ჭურჭლები თითქმის არ განსხვავდება სინაგოგაში გამოვლენილი გვიანდელი შუა საუკუნეების სხვა მოჭიქული ჭურჭლებისაგან. ამოკაწვრით მოხატული, მწვანედ და ცისფრად მოჭიქული კერამიკა XVI-XVII სს-ის ნაწარმად მიგვაჩნია.

შიშველ კეცზე თეთრი ანგობის სქელი ზოლებით მოხატული და ცისფრად მოჭიქული მოზრდილი ჯამის ძირის ნატეხი ნაყარ ფენაშია აღმოჩენილი (ტაბ. XXVI-

30). ანალოგიურად შემკული ჯამების თარიღად XI-XII სს-ია მიჩნეული [36, გვ. 28-30]. ვფიქრობთ, ამგვარი ჭურჭლები უფრო მოგვიანებით უნდა ეწარმოებინათ. სინაგოგის ჯამს ჩვენ XVI-XVII სს-ს მივაკუთვნებთ. საინტერესოა, რომ ერთი ამგვარი, ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამი აღმოჩნდა ქარვასლის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრებისას, გვიანდელი შუა საუკუნეების ფენაში (ტაბ. XIII-88).

მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი, სხვადასხვა ფორმებითაა წარმოდგენილი. მათში გვხვდება: ფართო და დაბალქუსლიანი ბრტყელძირა ჯამი (ტაბ. XXVII-9); პირგაშლილი ჯამის ნატეხი (ტაბ. XXVII-8); სამარილის ძირი (ტაბ. XXVII-52); ხელადის ყურისა (ტაბ. XXVIII-12) და ყელის ფრაგმენტი (ტაბ. XXVII-35); კოტოშების გვერდის ნატეხები (ტაბ. XXVII-50, 51). მწვანედ მოჭიქული ჭურჭლების ყველა ეს ფორმა კარგადაა დამახასიათებელი საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლებისათვის [13, ტაბ. 31, სურ. 244; 37, გვ. 195; 46, ტაბ. VIII; 59, ტაბ. X, XII]. მწვანედ მოჭიქული კერამიკიდან აღსანიშნავია ღრმად ნაჭდევი სამკუთხედებით შემკული ჭურჭლის გვერდი (ტაბ. XXVI-13). ამგვარი ორნამენტით შემკული XII-XIII სს-ით დათარიღებული მწვანედ მოჭიქული კერამიკა გვხვდება თბილისსა და გუდარეხში [36, ტაბ. LVII-1]. აღმოჩენის ვითარების მიხედვით, ჩვენი ჭურჭელი უფრო XVI-XVII სს-ს უნდა მიეკუთვნებოდეს.

ფირუზისფრად მოჭიქულ ჭურჭელში გვხვდება შედარებით სწორპირიანი და ფართოდ გაშლილი პირის მქონე ჯამები (ტაბ. XXVII-39, 40); აგრეთვე ხელადისა

თუ დოქის სწორპირიანი, რელიეფური სარტყელით შემკული პირ-ყელის ნატეხი (ტაბ. XXVII-41). ფირუზისფრად მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია: თელავში [47, გვ. 79, ტაბ. XVI-1], გრემში [54, ტაბ. 4]. XVIII ს-ით დათარიღებული ფირუზისფრად მოჭიქული ჭურჭლები ცნობილია ნარიყალადან [37, გვ. 194, ტაბ. VII-1] და სხვ.

მოჭიქულ კერამიკაში ცალკე ჯგუფს შეადგენს თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე მომწვანო, მოცისფრო და მუქი ცისფერი საღებავით მოხატული ქილები (ტაბ. XXVIII-36, 37), ჯამი (ტაბ. XXVIII-38), თევში (ტაბ. XXVIII-14), ყელწიბოიანი ხელადა (ტაბ. XXVIII-34). ჭურჭლებზე გადავლებულია მონაცრისფრო ჭიქური. ანალოგიურად შემკული კერამიკა გვხვდება თელავში [46, გვ. 80, ტაბ. VI-2; 47, გვ. ტაბ. XVI], თბილისში - ნარიყალაზე [37, გვ. 192]. ისინი ნაგებობის იატაკის დონეზე გამოვლენილი მოუჭიქავი თიხის ჭურჭლების თანადროული ჩანან.

ფორმით ყელწიბოიანი ხელადის (ტაბ. XXVIII-34) ანალოგიური და მისი თანადროულია ლურჯად მოჭიქული ხელადის პირ-ყურის ნატეხი (ტაბ. XXVIII-33).

№1 ოთახში აღმოჩენილი ორი მოჭიქული ჭურჭლიდან ერთი პირგამლილი, ცილინდრულყელიანი ქილაა, მაღალი, ვიწრო ტანით, ოდნავ პროფილირებული ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ტანი შემკულია ამოღარული სწორი და ტალღოვანი სარტყლებით. ორმხრივ მოჭიქულია ყვითლად (ტაბ. XXIX-56). კეცი სრულიად იდენტურია ნაგებობაში გამოვლენილი

კერამიკული ნაწარმის კეცისა. დაახლოებით მსგავსი ფორმის მოჭიქული ქილები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს XIX ს-ის ეთნოგრაფიული მასალებიდან [6, ტაბ. LI,2, LII,1,2].

რაც შეეხება მეორე ჭურჭელს, ის შტამპით გამოყვანილი ორნამენტით შემკული მრგვალპირიანი ხელადაა, რომლის ანგობირებული ზედა ნაწილი მოჭიქულია ყავისფრად. ხელადის ყელს ამკობს შტამპით დატანილი წვეროსანი მამაკაცის პორტრეტი, მუცელს – რელიეფურ წრეში მოქცეული ორმაგი ბორჯღალის სამი მედალიონი. გამომწვარია მონაცრისფროდ. თიხა წმინდადაა განლექილი (ტაბ. XXIX-55). ჭურჭელი ფორმით, შემკულობითა თუ კეცის სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავდება ნაგებობაში აღმოჩენილი სხვა კერამიკული ნაწარმის კეცისაგან და მისი იმპორტულობა ეჭვს არ იწვევს.

წვეროსანი მამაკაცის გამოსახულებით შემკული ჭურჭლის ნატეხი 1937 წ. აღმოჩნდა დმანისში. ბ. შელკოვნიკოვმა ის გვიანდელი შუა საუკუნეების ქვემო რეინის სახელოსნოების (კიოლნი, ფრეხენი) ნაწარმად მიიჩნია და XVI ს-ით დაათარილა [77, გვ. 163-164]. სავსებით მართებული უნდა იყოს დმანისური ჭურჭლის წარმომავლობის განსაზღვრა, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ ნივთის XVI ს-ით დათარიღებისათვის ავტორის მიერ მოტანილი არგუმენტები მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურება. დმანისური ჭურჭლის ნატეხითუფრომომოგვიანოა, XVIII ს-ის მაინც უნდა იყოს.

წვეროსანი მამაკაცის გამოსახულებით შემკული ჭურჭლები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში. მათ ბარტმანებს (ბარტმანი - წვეროსანი მამაკაცი) უწოდებენ [37, გვ. 194]. ვფიქრობთ, №1 ოთახში გამოვლენილი ხელადაც გერმანული წარმოშობის უნდა იყოს. ბარტმანები აღმოჩენილია სამთავისის ტაძრის ეზოს გათხრებისას, გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურულ ფენაში;⁹ თბილისიდან (ნარიყალა) მომდინარე XVII-XVIII სს-ით დათარიღებული ამგვარი ჭურჭლები მ. მიწიშვილის აზრით, ადგილობრივად დამზადებული გერმანული ბარტმანების მიზაძვით [37, გვ. 194].

მინის ნაწარმიდან გვხვდება №1 ოთახში აღმოჩენილი პატარა ბოთლი, ვიწრო მომაღლო ყელით. ტანი ცილინდრულია. მინა უფერულია, გამჭვირვალე (ტაბ. XXX-54).

იმავე ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში იატაკის დონეზეა გამოვლენილი სურის პირ-ყელის ნატეხი. პირი შესქელებულია, ყელი ვიწრო და მაღალი. ყელის ქვედა ნაწილზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი. მინა მომწვანოა (ტაბ. XXX-46). ანალოგიური ფორმის სურები აღმოსავლეთ საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების განათხარი მასალებიდან კარგადაა ცნობილი - ერეკლე II-ეს მოედანი, თბილისის დედაციხე და სხვ. [49, გვ. 50, ტაბ. XIII].

ქვის ნივთებს შორის ქვევრის ორი თავსახურია (დმ 19,5 სმ, სისქე 4 სმ; დმ 30 სმ, სისქე 5 სმ). მათგან ერთი,

⁹ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ არქეოლოგ გ. მახარაძეს.

№1 ოთახის დასავლეთ კედელში იყო ჩატანებული. შურდულის ქვა ნაყარი ფენიდან მომდინარეობს და ნაგებობაში გამოვლენილ მასალებთან შედარებით რამდენადმე უფრო ადრეული ჩანს (ტაბ. XXX-10). თუმცა, ზოგადად ის მაინც გვიანდელი შუა საუკუნეებისაა.

№1 ოთახის აღმოსავლეთი კედლის წყობაში ჩატანებული იყო ბაზალტისაგან დამზადებული სამფეხა ხელსაფქვავის მასიური ფრაგმენტი. მისი ზედა ნაწილი წრიულადაა ამოკაფული და ეყრდნობა სწორკუთხა მოყვანილობის მაღალ ფეხს. ზედაპირი უხეშადაა დამუშავებული. ზედა ნაწილის კიდეები გახეხილ-გაპრიალებულია - ნამუშევარია (ტაბ. XXX-73).

მიუხედავად იმისა, რომ სამფეხა ჩვენში კარგად ცნობილი ხელსაფქვავების არქეოლოგიურ თუ ეთნოგრაფიულ ნიმუშებს ნაკლებად წააგავს, ვფიქრობთ, ის მაინც ამ რიგის არტეფაქტი უნდა იყოს, რაზეც მიუთითებს ხანგრძლივი ტრიალისა და ხახუნის გამო სამფეხას შიდა ნაწილის კიდეების სიპრიალე.

როგორც აღვნიშნეთ, №1 ოთახის იატაკზე გამოვლენილი ჭურჭლებიდან ერთში აღმოჩნდა კილიანმარცვლიანი ხორბლის, ჩელტა ზანდურის კარბონიზირებული მარცვლები *Triticum timopheevi* ($2n = 28$), მეორეში წვრილმარცვლიანი, ჩვეულებრივი ბარდის *Pisum sativum* L მარცვლები.¹⁰ თუ ამას დავუმატებთ იმ მონაცემებსაც, რომ ნაყარ ფენებში აქა-იქ ჩნდებოდა ძროხის, ცხვრის, ქათმის, აგრეთვე ღორის ძვლები და ეშვები, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება

¹⁰ მარცვლეულის ჯიშები განსაზღვრა ნ. რუსიშვილმა.

დედაქალაქის იმდროინდელი მოსახლეობის კვების რაციონზე.

ამრიგად, სინაგოგაში ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი ნაგებობა, თავისი დამხმარე სათავსოებით. ნაგებობა სრულად არაა შემორჩენილი, მაგრამ მაინც გვეძლევა საშუალება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მის გეგმარებასა და ხასიათზე. ნაგებობაში აღმოჩენილი არტეფაქტები კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლებიდან, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ნივთები სათანადო ლიტერატურაში XVIII ს-ზე მოგვიანო ხანით არ თარიღდება. სინაგოგიდან მომდინარე მასალებით კი ირკვევა, რომ ამგვარი ფორმები საკმაოდ გვიან, XIX ს-შიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

ისე როგორც ქარვასლის არქეოლოგიურმა მასალებმა, სინაგოგის გათხრებისას აღმოჩენილმა არტეფაქტებმაც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა აღმოსავლეთ საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების ხელოსნური ნაწარმის, განსაკუთრებით კი წერნაქიანი ჭურჭლების ქრონოლოგიის საკითხში.

ასეთია ქარვასლისა და სინაგოგის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. მჭიდროდ დასახლების გამო თბილისის ძველ უბნებში გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების ჩატარება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ, ცალკეული შემთხვევითი აღმოჩენები თუ ახალმშენებლობებთან დაკავშირებული მცირემასშტაბიანი გათხრებისას გამოვლენილი, თუნდაც საკმაოდ მოგვიანო ხანის მატერიალური კულ-

ტურის ძეგლები ძვირფასი წყაროა დედაქალაქის წარსულის შესასწავლად.

ლიტერატურა

1. არქეოლოგიური მასალების კატალოგი II, შეადგინეს და სასტამბოდ მოამზადეს მ. ბადრიაშვილმა, დ. ქორიძემ, ლ. დლონტმა, ტ. ჩუბინიშვილმა, ა. აფაქიძის რედაქტორობით, თბ., 1955.
2. არჩვაძე თ. მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისათვის შუასაუკუნეთა საქართველოში, ფსად, ტ. I, თბ., 1969.
3. არჩვაძე თ. თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი, ფსად, ტ. II, თბ., 1974.
4. არჩვაძე თ. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი, ფსად, ტ. III, თბ., 1978.
5. ბახტაძე ნ. კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში, თბ., 2007.
55. ჭინჭილა. შემორჩენილია ფრაგმენტულად. ანალოგიურია №54-ის. ზომები: პირის დმ 3,5 სმ. კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. XII-55).

56. ქილა. ძირ-გვერდის ნატეხი. ჭურჭლის გვერდები ვერტიკალურია. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. ხაოიანი გარეპირი მოუჭიქავია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი სქელი. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 17 სმ, ძირის დმ 11 სმ. კეცის სისქე 1,5 სმ. აღმოჩნდა ქარვასლის შენობის აღმოსავლეთი კედლის საძირკველთან, ჩრდილოეთ ნაწილში, საძირკველის გარეთ. სიღრმე 4,5 მ (ტაბ. XII-56).

57. ქილა. შემორჩენილია ძირ-გვერდის ნატეხით. ჭურჭლის ვერტიკალური გვერდები მკვეთრად გადადის ბრტყელ ძირში. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 14 სმ, ძირის დმ 8,5 სმ. კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე. სიღრმე 3,5 მ.

58. ქილა. ძირ-გვერდის ნატეხი. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: ძირის დმ 11 სმ. კეცის სისქე 0,4-1 სმ. აღმოჩნდა იქვე. სიღრმე 4,3 მ.

59. ხელადა. ყელ-ყურის ნატეხი. პირმომტვრეული. ფართო, დაბალ ყელზე შემოუყვება წიბო, რომელზეც ებმის ბრტყელგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი დაფარულია მორგვისეული ხაზებით. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მკვრივია, კარგად განლექილი. ზომები: კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

60. ქვევრი. გვერდის ნატეხი შემკულია რელიეფური სარტყელით. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. ზომები: კეცის სისქე 1,2 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. V-60).

61. კრამიტი. შემორჩენილია ფრაგმენტულად. ბრტყელი. ერთ მხარეს დაუყვება ფართო სწორი ღარი.

გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია.
ზომები: კეცის სისქე 2 სმ. აღმოჩნდა იქვე.

62. დერგი. პირ-ყელის ნატეხი. პირმოყრილი. ბაკო
ბრტყელია, ფართო. გამომწვარია მოჩალისფროდ.
ზედაპირი ხაოიანია. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი
გადანატეხში მუქია. ზომები: კეცის სისქე 1 სმ.
აღმოჩნდა იქვე.

63. ქოთანის გვერდის ნატეხი. შემკულია რელიეფური
თოკისებური ორნამენტით, ამოღარული სწორი და
ტალღოვანი სარტყელით. ზედაპირი ხაოიანია. თიხა
მსხვილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,4 სმ.
აღმოჩნდა იქვე.

64. კრამიტი. ღარიანი. შემორჩენილია ფრაგმენტულად.
ზემოდან დაძვრწილი აქვს შვერილი. ზედაპირი
ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარ-
ცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 1 სმ. აღმოჩნდა იქვე.

65. კრამიტი. ბრტყელი. შემორჩენილია
ფრაგმენტულად. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილ-
მარცვლოვანია. ზომები: აკეცილი გვერდის სიმაღლე 5,5
სმ. კეცის სისქე 1,5 სმ. აღმოჩნდა იქვე.

66. ქოთანის პირ-გვერდის ნატეხი. პირგაშლილი. და-
ბალყელიანი. მხარზე შეიმჩნევა მორგვისეული ხაზები.

გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მკვრივია, წმინდად განლეკილი. ზომები: კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

67. ხელადა. შემორჩენილია ოვალურგანივკვეთიანი ყურისა და ყელის სახით. შეღებილია წერნაქით. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

68. ხელადა. შემორჩენილია ზურგზე ხალით შემკული ოვალურგანივკვეთიანი ყურის სახით. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე.

69. ხელადა. სამტუჩა. ტუჩს ქვემოთ შემოუყვება წიბო. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ჭურჭლის პირზე. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. X-69).

70. ქვაბქოთანი. შემორჩენილია მხარზე ჰორიზონტალურად დაძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ყურის სახით. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,6 სმ. აღმოჩნდა იქვე.

71. ხელადა. შემორჩენილია წერნაქით შეღებილი ბრტყელგანივკვეთიანი ყურის სახით. ზედაპირი ხაო-

იანია. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

72. ხელადა. ყელ-ყურის ნატეხი. ვიწრო ცილინდრულ ყელზე შემოუყვება ორი წიბო, რომლის ქვემოთ ყელს ებმის ოვალურგანივკვეთიანი ყური. ჭურჭელი შეღებილია წერნაქით. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქია. ზომები: კეცის სისქე 0,5 სმ. აღმოჩნდა ქარვასლის შენობის აღმოსავლეთი კედლის საძირკვლის გარეთ, დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში. სიღრმე 4,5 მ.

73. ჯამი. ძირ-გვერდის ნატეხი. ორმხრივ დაფარულია მოვარდისფრო ანგობით. ფსკერზე შემორჩენილია მწვანე ჭიქუროვანი საღებავის ზოლები. ანალოგიური ვერტიკალურად დაშვებული ზოლები შეიმჩნევა ჯამის გარეპირზეც. ქუსლი დაბალია, შეღარული. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: ქუსლის სიმაღლე 0,5 სმ, ძირის დმ 5,8 სმ. კეცის სისქე 0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე. სიღრმე 4,2 მ (ტაბ. XIII-73).

74. ხუფი. შემორჩენილია დისკოსებური მოყვანილობის სახელურის ნატეხით. სახელურს გარშემო შემოუყვება წერნაქის ზოლი. გამომწვარია წითლად. ზედაპირი

ხაოიანია. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. ზომები: კეცის სისქე 1 სმ. აღმოჩნდა იქვე. სიღრმე 4 მ.

75. ხელადა. შემორჩენილია მასიური, ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ნატეხით. ყურზე დაძერწილი აქვს ლილვაში ჩასმული კონუსი. ზედაპირი ნაწილობრივია ნაპრიალები. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მკვრივია, კარგად განლექილი. ზომები: კეცის სისქე 0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე. სიღრმე 4,3 მ (ტაბ. XI-75).

76. ხელადა. სამტუჩა. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე, რომელზეც შემოუყვება ორი ამოღარული სარტყელი. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: სიმაღლე 23 სმ, ძირის დმ 8,5 სმ. აღმოჩნდა ქარვასლის შენობის სამხრეთი კედლის საძირკველისგან დაზიანებულ, აგურისკედლიან მეორე ორმოში (ტაბ. X-76).

77. ხელადა. სამტუჩა. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ყელის ძირი და მხარი შემკულია ამოღარული სარტყელებით. ოვალურგანივკვეთიანი ყური, რომელიც პირსა და მხარზე ჰქონია დაძერწილი, მოტეხილია. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩა-

ლისფროდ. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: სიმაღლე 23 სმ, ძირის დმ 8 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. X-77).

78. ხელადა. პირ-ყელი მოტეხილი აქვს. ფართო ყელის ძირზე შემოუყვება წიბო. მუცელზე შემორჩენილია ოვალურგანიკვეთიანი ყურის კვალი. გამომწვარია მოჩალისფროდ. ზედაპირი ნაპრიალებია. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 11,5 სმ, ძირის დმ 7 სმ. კეცის სისქე 0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. X-78).

79. ხელადა. ძირ-გვერდის ნატეხი. ძირი ოდნავ პროფილირებულია. ზედაპირი ნაპრიალებია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: ძირის დმ 6,5 სმ. კეცის სისქე 0,6 სმ. აღმოჩნდა იქვე.

80. ხელადა. ძირ-გვერდის ნატეხი. ზედაპირი ნაპრიალებია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა მკვრივია, წვრილმარცვლოვანი. ზომები: ძირის დმ 8 სმ. კეცის სისქე 0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე.

81. ხელადა. შემორჩენილია გვერდისა და ყურის ნატეხით. ყური მრგვალგანიკვეთიანია. მიერთებულია ჭურჭლის მხარზე, რომელზეც შემორჩენილია ამოღარული კონცენტრული ხაზების სარტყელი. ზედაპირი ნაპრიალებია. გამომწვარია მოჩალისფროდ. კეცი მკვრი-

ვია. თიხა წვრილმარცვლოვანი. ზომები: კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

82. ხელადა(?) გვერდისა და ყურის ნატეხი. მხარზე შემოუყვება ორი ამოდარული სარტყელი. ზედაპირი ნაპრიალებია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

83. ჯამი. ძირის ნატეხი. თეთრად ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია. კარგად განირჩევა ამოკაწრული ხაზებით გამოყვანილი მტრედის გამოსახულება და მცენარეული ორნამენტი. ყვითელი, სოსნისფერი და მწვანე ჭიქუროვანი საღებავებით მხოლოდ ნაკაწრი ხაზებით შემოსაზღვრული კონტურებია შევსებული. ჯამის დანარჩენი ნაწილი მოუჭიქავია. ქუსლი შეღარულ-ამობურცულია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: ქუსლის სიმაღლე 1 სმ, ქუსლის დმ 7 სმ. კეცის სისქე 1 სმ. აღმოჩნდა შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან გამოვლენილი მრგვალი სვეტის ძირთან. სიღრმე 4,5 მ (ტაბ. XIII-83).

84. ჯამი. ძირის ნატეხი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ჯვარი, რომლის ორი მკლავი მწვანე, ორი კი სოსნისფერი საღებავითაა შევსებული. ჯამის დანარჩენი ნაწილი მოუჭიქავია. ქუსლი შეღარულ-ამობურცულია. გამომწვარია წითლად. თიხა

მსხვილმარცვლოვანია. ზომები: ქუსლის სიმაღლე 1,2 სმ, ქუსლის დმ 7,5 სმ. კეცის სისქე 0,9 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. XIII-84).

85. ჯამი. გვერდის ნატეხი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ფრინველის თავი, რომელიც ყვითელი ჭიქუროვანი საღებავითაა შევსებული. ამოკაწრული მცენარეული ორნამენტი შევსებულია მწვანე საღებავით. ჯამის დანარჩენი ნაწილი მოუჭიქავია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე: 1 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. XIII-85).

86. ჯამი. პირ-გვერდის ნატეხი. შიდაპირზე მოყავისფრო ზოლებით გამოყვანილია გაურკვეველი ორნამენტი. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,7 სმ. აღმოჩნდა ქარვასლის შენობის სამხრეთი კედლის საძირკვლისაგან დაზიანებულ აგურისკედლიან მეორე ორმოში (ტაბ. XIII-86).

87. ჯამი. ანალოგიურია №86-ის. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. XIII-87).

88. ჯამი. გვერდის ნატეხი. შიშველ კეცზე ფუნჯით გამოყვანილია ანგობის თეთრი ზოლები. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქუროვანი საღებავი.

გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,9 სმ. აღმოჩნდა ქარვასლის შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, გაჯით შელესილი მრგვალი სვეტის ძირთან. სიღრმე 4,5 მ (ტაბ. XIII-88).

89. თეფში. პირ-გვერდის მცირე ნატეხი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული ხაზებით გამოყვანილი სარტყელები და მცირე ზომის წრეები. წრეების ცენტრი შემკულია წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. XIII-89).

90. ჯამი. პირ-გვერდის მცირე ნატეხი. ჭურჭელს გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,6 სმ. აღმოჩნდა იქვე.

91. ხელადა. შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი ყურის ფრაგმენტით. ზედაპირი ნაპრიალებია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: დმ 1,8 სმ. აღმოჩნდა იქვე.

92. დერგი. ძირ-გვერდის ნატეხი. მასიური. წერნაქით შეღებილი. ზედაპირზე შეიმჩნევა წნევით დატანილი

ვერტიკალური ზოლები. გამომწვარია წითლად. კეცი გადანატეხში წითელი და ნაცრისფერია. თიხა მსხვილ-მარცვლოვანია. ზომები: ძირის დმ 15 სმ. კეცის სისქე 0,8-1,2 სმ. აღმოჩნდა ქარვასლის სამხრეთი კედლის საძირკველთან, დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში. სიღრმე 4,2 მ.

93. ბადია. შემორჩენილია პირ-გვერდისა და ძირის ნატეხით. პირი ფართოა, გაშლილი. ბაკო ბრტყელია. კალთა შემკულია ორი რელიეფური სარტყელით. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზომები: ბაკოს სიგანე 4 სმ. კეცის სისქე 1 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. IX-93).

94. ხელადა. შემორჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ნატეხით. ზურგზე შეიმჩნევა დაბალი ქედი და წრიული ნაჭდევი. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში წითელი და მონაცრისფროა. ზომები: დმ 1,8-4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

95. ჭრაქი. შემორჩენილია ფრაგმენტულად. ჭრაქი დაბალია. აქვს ოდნავ პროფილირებული ქუსლი და ბრტყელი ძირი. საპატრუქე ტუჩი ოდნავ შეიმჩნევა. მოჭიქული ყოფილა მწვანედ. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ზო-

მები: ძირის დმ 3,5 სმ. კეცის სისქე 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე (ტაბ. XII-95).

96. ჯამი. გვერდის ნატეხი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული ხაზებით გამოყვანილია გაურკვეველი გამოსახულებები, რომლებიც შევსებულია მწვანე და ყვითელი ჭიქუროვანი საღებავით. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,8 სმ. აღმოჩნდა იქვე.

97. ჯამი. გვერდის ნატეხი. ორმხრივ თეთრად ანგობირებულია. შიდაპირზე გამოყვანილია მწვანე საღებავის ზოლები. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: კეცის სისქე 0,8 სმ. აღმოჩნდა იქვე.

98. სფეროკონუსი. პირმოტეხილი. დეფორმირებულია ცეცხლის ზემოქმედების გამო. აღმოჩნდა ქარვასლის შენობის ჩრდილოეთი კედლის სამირკვლის ქვეშ, კირხსნართა და აგურის ნატეხებით ნაგებ მრგვალი სვეტის ძირთან. სიღრმე 3 მ (ტაბ. XI-98).

99. დერგი. ძირ-გვერდის ნატეხი. შემკულია თოკისებური ორნამენტით. ზედაპირი ხაოიანია.

გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზომები: ძირის დმ 11 სმ. კეცის სისქე 1 სმ. აღმოჩნდა ქარვასლის აღმოსავლეთი კედლის საძირკველთან, დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში. სიღრმე 4,2 მ.

100. ქვევრი. ძირ-გვერდის ნატეხი. ქუსლიანი. შემკულია თოკისებური ორნამენტით. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქია. ზომები: ქუსლის დმ 9 სმ. კეცის სისქე 1,8 სმ. აღმოჩნდა ქარვასლის სამხრეთი კედლის საძირკველთან, აგურისკედლიანი მეორე ორმოს დასავლეთით, ორმოდან 1,5 მ-ის დაშორებით. სიღრმე 4,2 მ (ტაბ. V-100).

სინაგოგის გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური
მასალის კატალოგი

1. ჭრაქი. ლულიანი. პირგაშლილი, დაბალყელიანი. მუცელგამობერილი. ლულა და ბრტელგანივკვეთიანი ყური მოტეხილი აქვს. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. სიმაღლე 8 სმ. პირის დმ 7 სმ. კეცის სისქე 4 მმ. სინაგოგა. ინტერიერის ცენტრალური ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 2 მ (ტაბ. XXII-1).

2. სურის პირ-ყელის ნატეხი. პირგადაშლილი. პირის ქვემოთ შემოუყვება წიბო, ცილინდრული მაღალი ყელით. ყელის ქვედა ნაწილზე აქვს გამობერილი ლილვაკი. ზედაპირზე შემორჩენილია მორგვისეული ხაზები, გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. პირის დმ 5 სმ. კეცის სისქე 8 მმ. სინაგოგის ინტერიერი. დასავლეთი კუთხე. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXII-2).

3. ხელადის მილი. სადა, ხაოიანი ზედაპირით. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. სიგრძე 9,5 სმ. სინაგოგის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 1,2 მ (ტაბ. XXI-3).

4. ჩიბუხი. ტანზე შემოუყვება წიბო. პირი შემკულია ორი რელიეფური სარტყელით, ტარი – რელიეფური

ხაზებით შედგენილი სამკუთხედებით. ზედაპირნაკ-
რიალები. გამომწვარია მონაცრისფროდ. თიხა წვრილ-
მარცვლოვანია. №1 ოთახის ჩრდილოეთ კედელსა და
სინაგოგის საძირკველს შორის არსებული ფართობი.
სიღრმე 0 წერტილიდან 1,3 მ (ტაბ. XXII-4).

5. მინის სურის პირ-გვერდის ფრაგმენტი.
სწორპირიანი. ყელი მაღალია ცილინდრული, ქვემოთ
ოდნავ გაგანიერებული. მინა თხელია, უფერული,
გამჭვირვალე. პირის დმ 2 სმ. შემორჩენილი სიგრძე 12
სმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXX-5).

6. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. თეთრად ანგობირებუ-
ლი, შიდაპირი მოჭიქულია ცისფრად. პირზე
შემოუყვება ღარი. პირის კიდე აწეულია. მხრები
დაბალია, ვერტიკალური. თიხა მსხვილმარცვლოვანია.
გამომწვარია წითლად. კეცის სისქე 6 მმ. №1 ოთახი.
იატაკის დონე (ტაბ. XXVII-6).

7. თეფშის პირ-გვერდის ნატეხი. კიდეზე შემოუყვება
ამოდარული სარტყელი. შეღებილია წერნაქით.
გამომწვარია წითლად. კეცი მკვრივია, გადანატეხში
მუქი. თიხა წმინდადაა განლექილი. კეცის სისქე 5-8 მმ.
№1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXI-7).

8. ჯამის პირ-კალთის ნატეხი. ორმხრივ მოჭიქულია
მწვანედ. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია

წითლად. კეცის სისქე 4 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXVII-8).

9. ჯამის ძირის ნატეხი. ორმხრივ მწვანედაა მოჭიქული. ქუსლი დაბალია, შეღარული. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ძირის დმ 9 სმ. კეცის სისქე 7 მმ. №1 ოთახის იატაკის დონიდან 15 სმ სიღრმეზე (ტაბ. XXVII-9).

10. შურდულის ქვა. მრგვალი. დამზადებულია ბაზალტისაგან. დმ 6 სმ. №1 ოთახის ჩრდილოეთ კედელთან. სიღრმე 0 წერტილიდან 1,6 მ (ტაბ. XXX-10).

11. ლარნაკის გვერდის ნატეხი. ანგობირებულ გარეპირზე ამოკაწრულია მცენარეული ორნამენტი და მოჭიქულია მწვანედ. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 0,5 სმ. №1 ოთახის იატაკის დონის ქვემოთ 10 სმ. სიღრმეზე (ტაბ. XXVI-11).

12. ხელადის ყურის ნატეხი. ოვალურგანივკევეთიანი, ანგობით დაფარული ყური მოჭიქულია მწვანედ. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ყურის დმ 2 სმ. №1 ოთახის ჩრდილოეთ კედელსა და სინაგოგის ჩრდილოეთ კედელს შორის არსებული ფართობი. სიღრმე 0 წერტილიდან 1,6 მ (ტაბ. XXVIII-12).

13. ჭურჭლის გვერდის ნატეხი. თეთრად ანგობირებული გარეპირი, რომელიც შემკულია ღრმად ნაჭდევი სამკუთხედებით, მოჭიქულია მწვანედ. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 5 მმ. №1 ოთახის ჩრდილოეთ კედელსა და სინაგოგის ჩრდილოეთ კედელს შორის არსებული ფართობი. სიღრმე 0 წერტილიდან 1,6 მ (ტაბ. XXVI-13).

14. თეფშის პირ-გვერდის ნატეხი. თეფში ორმხრივ ანგობირებული და მონაცრისფროდ მოჭიქულია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცის სისქე 7 მმ. №1 ოთახის ჩრდილოეთ კედელსა და სინაგოგის ჩრდილოეთ კედელს შორის არსებული ფართობი. სიღრმე 0 წერტილიდან 1,6 მ (ტაბ. XXVIII-14).

15. ქვევრის პირ-ყელის ნატეხი. ფართოპირიანი. მომადლო ყელით. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. პირის სიგანე 4,5 სმ. კეცის სისქე 1,5 სმ. №1 ოთახის აღმოსავლეთი კედლის გარე ნაწილის გაყოლებით გავლებული თხრილი. სიღრმე 0 წერტილიდან 1,7 მ (ტაბ. XVIII-15).

16. ჯამის გვერდის ნატეხი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია სოსნისფერი წერტილები. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია.

კეცის სისქე 8 მმ. №1 ოთახის სამხრეთი ნაწილი. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVI-16).

17. ხელადის ყელ-ყურის ნატეხი. ფართო და მაღალ ყელს შემოუყვება ორი წიბო, რომელზედაც მიერთებულია ოვალურგანიკვეთიანი ყური. ყელის ქვედა ნაწილი შემკულია გამობერილი ლილვითა და წიბოთი. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი მკვრივია. კეცის სისქე 6 მმ. №1 ოთახის აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობი. სიღრმე 0 წერტილიდან 1,8 მ (ტაბ. XXII-17).

18. დერგის პირ-ყელის ნატეხი. ფართოპირიანი. შეღებილია წერნაქით. ზედაპირი ანგობირებულია. პირის ქვემოთ შემოუყვება ამოღარული ხაზები და თოკისებური ორნამენტი. გამომწვარია წითლად. კეცი გადანატეხში მუქია. თიხა მსხვილმარცვლოვანი. პირის სიგანე 3,4 სმ. კეცის სისქე 1 სმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,4 მ (ტაბ. XVIII-18).

19. ქვევრის გვერდის ნატეხი. შემკულია რელიეფური თოკისებური სარტყელით. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცის სისქე 1,5 სმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,4 მ (ტაბ. XVIII-19).

20. ჭრაქის ნატეხი. ფინჯანისებური. ზედა ფინჯანი ქვედასთან წიბოთი შემკული ფეხითა და ოვალურ-განივკვეთიანი ყურითაა დაკავშირებული. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. კეცი მკვრივია, გადანატეხში მუქი. თიხა წვრილმარცვლოვანია. სიმაღლე 8 სმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,6 მ (ტაბ. XXII-20).

21. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. პირგაშლილი. მაღალკალთიანი. ხაოიანი ზედაპირით. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 4 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXIII-21).

22. თეფშის პირ-გვერდის ნატეხი. პირგადაშლილი. დაბალკალთიანი. შიდაპირი შეღებილია წერნაქით. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცის სისქე 6 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXI-22).

23. ბადიის პირ-გვერდის ნატეხი. პირგადაშლილი. მაღალკალთიანი. წერნაქით შეღებილი. გარეპირს ამკობს ამოდარული ხაზები და წნევით დატანილი ზოლები. ჭურჭელი ძირთან გახვრეტილია. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის

სისქე 6 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXIII-23).

24. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. სწორი, დაბრტყელებული პირით. მხრები დაბალია. კალთა მკვეთრად დაქანებული. მხარზე გარედან შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი სარტყელი. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 6 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXIII-24).

25. ბადიის პირ-გვერდის ნატეხი. ფართოდ გაშლილ პირზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევების სარტყელი. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 7 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5მ(ტაბ. XXIII-25).

26. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. პირგადაშლილი. სწორი მხრებით. მკვეთრად დაქანებული კალთით. მხარი გარედან შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 5 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ. (ტაბ. XXIII-26).

27. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. ოდნავ პირმოყრილი. მხრები კალთისაგან გამოყოფილია დაბალი წიბოთი. ზედაპირი ხაოიანია. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 7 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXIII-27).

28. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. ოდნავ პირმოყრილი. სწორი მხრები კალთისაგან გამოყოფილია დაბალი წიბოთი. შიდაპირი შეღებილია წერნაქით. გამომწვარია მოჩალისფროდ; თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 5-10 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXIII-28).

29. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. სწორპირიანი. დაბალი მხრებით. კალთა მკვეთრად დაქანებული. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია «მარყუჟი.» ჯამი მოჭიქულია ცისფრად. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცის სისქე 5-10 მმ. სინაგოგის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 2,5 მ (ტაბ. XXVI-29).

30. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. შიშველი კეცი მოხატულია ანგობის სქელი ზოლებით. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური. ქუსლი მაღალია, შეღარული. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია.

ქუსლის სიმაღლე 1,3 სმ, ძირის დმ 9,5 სმ. კეცის სისქე 1 სმ. სინაგოგის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 2,5მ (ტაბ. XXVI-30).

31. ლარნაკის გვერდის ნატეხი. თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე ამოკაწრულია ორი სარტყელი და მცენარეული ორნამენტი. მოჭიქულია ცისფრად. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად. კეცის სისქე 1,2 სმ. სინაგოგის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 2,5 მ (ტაბ. XXVI-31).

32. ჯამის პირის ნატეხი. პირგადაშლილი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მცენარეული ორნამენტი. მოჭიქულია ცისფრად. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცის სისქე 5 მმ. სინაგოგის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 2,5მ (ტაბ. XXVI-32).

33. ხელადის პირ-ყელის ნატეხი. ბრტყელპირიანი. ყელზე შემოუყვება წიბო, რომელზეც მიერთებულია ოვალურგანივკვეთიანი ყური. პირის კიდე და წიბო შემკულია ნაჭდევებით. ხელადა მოჭიქულია ლურჯად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 5 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVIII-33).

34. ხელადის პირ-ყელის ნატეხი. ბრტყელპირიანი. ყელზე შემოუყვება წიბო, რომელზეც მიერთებულია ოვალურგანივკვეთიანი ყურის კვალი. ნაცრისფრად ანგობირებულ ზედაპირზე გამოყვანილია მწვანე ლაქები. ჭურჭელს გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 5 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVIII-34).

35. ქილის ყელი. ცილინდრული მოყვანილობის. ანგობირებული გარეპირი მოჭიქულია მწვანედ. გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 7 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVII-35).

36. ქილის გვერდი. ცილინდრული ფორმის. ნაცრისფრად ანგობირებულ ზედაპირზე ფუნჯით გამოყვანილია მწვანე ფერის მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 7 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVIII-36).

37. ქილის პირ-გვერდის ნატეხი. პირი ოთხკუთხაგანივკვეთიანია. ჭურჭელი ორმხრივ ნაცრისფრადაა ანგობირებული. ზედაპირზე ფუნჯით გამოყვანილია მწვანე ლაქები. გადავლებული აქვს უფ-

რული ჭიქური. კეცის სისქე 4 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVIII-37).

38. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. ოდნავ პირგადაშლილი. სწორი მხრები კალთისაგან გამოყოფილია დაბალი წიბოთი. ჯამი ორმხრივ ნაცრისფრადაა ანგობირებული, შიდაპირზე ფუნჯის საშუალებით გამოყვანილია მწვანე, ვერტიკალური ზოლები. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 4 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVIII-38).

39. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. სწორი პირითა და მხრებით. ანგობირებული. ჭურჭელი ორმხრივ ფირუზისფრადაა მოჭიქული. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 5 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVII-39).

40. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. პირგადაშლილი. მაღალკალთიანი. ანგობირებული შიდაპირი და გარეპირი მოჭიქულია ფირუზისფრად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 5 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVII-40).

41. ლარნაკის პირ-ყელის ნატეხი. სწორი პირითა და ცილინდრული ყელით, რომელზეც შემოუყვება დაკეჭნილი რელიეფური სარტყელი. გარეპირი მოჭიქულია ფირუზისფრად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 4 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVII-41).

42. ფაიანსის ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. ორმხრივ თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე ფუნჯის საშუალებით გამოყვანილია კობალტის ლაქებით დაფარული შავი ყვავილები. ძირი დაბალია, შეღარული. გამომწვარია თეთრად. ძირის სიმაღლე 0,5 სმ, დმ 7,5 სმ. კეცის სისქე 4 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVIII-42).

43. ჯამის ძირის ნატეხი. ქუსლი მაღალია. შეღარულ-ამობურცული. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ხაზები. მოჭიქულია მწვანედ. ქუსლის სიმაღლე 1,7 სმ. თიხა მსხვილმარცვლოვანია. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. სიღრმე 0 წერტილიდან 1,5 მ (ტაბ. XXVI-43).

44. ჯამის ძირი. შეღარულ-ამობურცული. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ყვითელი საღებავით შევსებული ლომის სხეულის ფრაგმენტი. ფონი შევსებულია მწვანედ შეფერილი ამოკაწრული მცენარეული ორნამენტით. სიუჟეტი

გამოცოცხლებულია სოსნისფერი წერტილებით. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ქუსლის სიმაღლე 1,3 სმ, ძირის დმ 7,5 სმ. სინაგოგის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. სიღრმე 0 წერტილიდან 2 მ (ტაბ. XXVI-44).

45. ლურსმანი. რკინის. მასიური ქუდითა და ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროთი. სიგრძე 21 სმ. ქუდის დმ 8,5 სმ. ოთახი №4. იატაკის დონე (ტაბ. XXX-46).

46. მინის ჭურჭლის ყელი. შესქელებული ბრტყელი პირით. ვიწრო და მაღალი. ქვედა ნაწილზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი. მინა მომწვანოა, გამჭვირვალე. შემორჩენილი სიგრძე 11 სმ. პირის დმ 4 სმ. ოთახი №1. იატაკის დონე. ჩრდილოეთი კედლის ძირთან (ტაბ. XXX).

47. ჩიბუხი. პირმოტეხილი. შემკულია ვერტიკალურად ამოდარული ხაზებით. წერნაქით შეღებილ-ნაპრი-ალები. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 3 მმ. სინაგოგის სამხრეთი ნაწილი. ნაყარი ფენა. 0 წერტილიდან 1,7 მ (ტაბ. XXII-47).

48. ჯამის ძირი. შეღარული, კოპიანი. თეთრად ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრული მტრედის გამოსახულება შევსებულია ყვითელი, მწვანე და ანგობის თეთრი ფერით. ფრინველის მკერდზე წრეში გამოსახულია «გული.» კომპოზიცია გახალისებულია სოსნის-

ფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. ქუსლის სიმაღლე 1 სმ, ძირის დმ 7,5 სმ. თიხა მსხვილმარცვლოვანია. სინაგოგის ცენტრალური ნაწილი. სიღრმე 0 წერტილიდან 3 მ (ტაბ. XXVI-48).

49. ჯამის ძირი. ქუსლი შედარულ-ამობურცულია. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მტრედის გამოსახულება და მცენარეული ორნამენტი. გამოსახულება შევსებულია ყვითელი და მწვანე საღებავით. კომპოზიცია გახალისებულია სამი სოსნისფერი წერტილით. გადავლებული აქვს მომწვანო ფერის კრიალა ჭიქური. ქუსლის სიმაღლე 1,5 სმ. კეცის სისქე 8 მმ. სინაგოგის ცენტრალური ნაწილი. სიღრმე 0 წერტილიდან 3 მ (ტაბ. XXVI-49).

50. კოტოშის ფრაგმენტი. პირგადაშლილი. შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კედლის სისქე 5-10 მმ. №1 ოთახის იატაკის ქვემოთ. სიღრმე 0 წერტილიდან 2,2 მ (ტაბ. XXVII-50).

51. კოტოშის გვერდის ნატეხი. შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცის სისქე 1 სმ. №1 ოთახის იატაკის ქვემოთ. სიღრმე 0 წერტილიდან 2,2 მ (ტაბ. XXVII-51).

52. სამარილის ძირის ნატეხი. ბრტყელძირა. შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. გამომწვარია წითლად. ძირის დმ 5 სმ. №1 ოთახის იატაკის ქვემოთ. სიღრმე 0 წერტილიდან 2,2მ (ტაბ. XXVII-52).

53. ბრინჯაოს ნივთები. სხვადასხვა ფორმის – მრგვალი, სწორკუთხა, ოვალური ფირფიტები და ღეროები. 19 ცალი. სინაგოგის ცენტრალური ნაწილი. სიღრმე 0 წერტილიდან 3 მ (ტაბ. XXX-53).

54. მინის ბოთლი. ვიწრო მომაღლო ყელით. ტანი ცილინდრული მოყვანილობისაა. სიმაღლე 14 სმ, პირის დმ 2,3 სმ, ძირის დმ 3,5 სმ. №1 ოთახის იატაკის დონე. ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან (ტაბ. XXX-54).

55. ხელადა. შესქელებული პირით. ქვემოთ გაგანიერებული, დაბალი ყელით. კვერცხისებური მოყვანილობის ტანით. ოვალურგანიკვეთიანი რელიეფური ქედით შემკული ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ქუსლი ოდნავ პროფილირებულია. ძირი ბრტყელია. ანგობირებული ხელადის ზედა ნაწილი მოჭიქულია ყავისფრად. ხელადის ყელს ამკობს შტამპით დატანილი წვეროსანი მამაკაცის პორტრეტი. მუცელს _ ასევე შტამპით დატანილი რელიეფურ წრეში მოქცეული ორმაგი ბორჯღალის სამი მედალიონი. გამომწვარია მონაცრისფროდ. თიხა წმინდადაა განლექილი. დოქის სიმაღლე 41,5 სმ, პირის დმ 4 სმ, ძირის დმ

14 სმ. კეცის სისქე 8 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXIX-55).

56. ქილა. პირგადაშლილი. ცილინდრულყელიანი. მაღალი ვიწრო ტანით. ოდნავ პროფილირებული ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ტანი შემკულია ამოღარული სწორხაზოვანი და ტალღოვანი სარტყელებით. მოჭიქულია ყვითლად. სიმაღლე 37 სმ, პირის დმ 14,5 სმ, ძირის დმ 12 სმ. კეცის სისქე 6 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXIX-56).

57. სურა. პირგაშლილი. სამტუჩა. მაღალი, ვიწრო, წიბოიანი ყელით. ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა. ოვალურგანიკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე, რომელზეც შემოუყვება ამოღარული სარტყელი. ხაოიანი ზედაპირი შეღებილია წითლად. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმინარევიანია. კეცი თხელია. სიმაღლე 41 სმ, პირის დმ 6,5 სმ, ძირის დმ 10,5 სმ. კეცის სისქე 3 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXV-57).

58. ხელადა. პირმოტეხილი. მაღალი, ვიწრო ყელი შემკულია ნაჭდევებიანი ამოღარული სარტყელებითა და შიგნიდან გამობერილი ლილვით. ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა. ორმაგი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ჭურჭელი შეღებილია წერნაქით. ხაოიანი ზედაპირი შემკულია ამოღარული ხაზებით

გამოყვანილი «თევზიფხური» ორნამენტით. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. შემორჩენილი სიმაღლე 54 სმ, ყელის დმ 5,5 სმ, ძირის დმ 12 სმ. კეცის სისქე 3-10 სმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXV-58).

59. კოკა. პირმოტეხილი. რელიეფური სარტყელებით შემკული დაბალი ყელით. მუცელგამობერილი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ხაოიანი ზედაპირი წერნაქითაა შეღებილი. ყელის ქვედა ნაწილს შემოუყვება ამოღარული სარტყელები. მხრები შემკულია ამოღარული «თევზიფხური» ორნამენტით. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. შემორჩენილი სიმაღლე 45 სმ. ყელის დმ 6,5 სმ, ძირის დმ 13 სმ. კეცის სისქე 4 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXV-59).

60. ხელადა. მრგვალ პირზე აქვს ოდნავ შესამჩნევი ტუჩი. ამოღარული სარტყელით შემკული ყელი დაბალია, ფართო, ქვემოთ შევიწროებული. მხრები დაშვებული. მუცელი ზომიერად გამობერილი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ხაოიანი ზედაპირი წერნაქითაა შეღებილი. გამომწვარია წითლად. სიმაღლე 24 სმ, ძირის დმ 7,5 სმ, ძირის დმ 10 სმ. კეცის სისქე 3 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXI-60).

61. კოკა. შესქელებული მრგვალი პირით. ქვემოთ გაფართოებული დაბალი ყელით. განზიდული მხრებით. ტანი ქვემოთ მკვეთრად შევიწროებული. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. მხრები და ტანი დაწინწკლულია წერნაქის ლაქებით. მხარზე გამოწვის შემდეგ ამოუკაწრავთ ურთიერთგადამკვეთი ხაზები და «თევზიფხური» ორნამენტი. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. სიმაღლე 54 სმ, პირის დმ 4-5 სმ, ძირის დმ 12,5 სმ. კეცის სისქე 5 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XIX-61).

62. კოკა. ანალოგიურია №61-ის. პირ-ყელი და მხრები შემკულია წერნაქის ზოლებით. სიმაღლე 52 სმ, პირის დმ 5 სმ, ძირის დმ 12 სმ, კეცის სისქე 5 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე. ჭურჭელში აღმოჩნდა ხორბალი (ტაბ. XIX-62).

63. კოკა. შემორჩენილია ყურის, გვერდისა და ტანის ნატეხებით. ფორმით ანალოგიურია №62 კოკის. შემორჩენილი სიმაღლე 33,5 სმ, ძირის დმ 12 სმ, კეცის სისქე 5-8 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე. ჭურჭელში აღმოჩნდა ბარდა (ტაბ. XIX-63).

64. ქილა. ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირითა და დაბალი ყელით. განზიდული მხრებით. ტანი მაღალია, ქვემოთ მკვეთრად დავიწროებული. ზედაპირი ხაოიანია. მხარი

და ტანის ქვედა ნაწილი შემკულია რელიეფური თოკისებური ორნამენტით, აგრეთვე ამოდარული სარტყელით. ქილის ზედა ნაწილი მოხატულია წერნაქის ფართო ზოლებით. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. სიმაღლე 40 სმ, პირის დმ 12 სმ, ძირის დმ 12 სმ, კეცის სისქე 8 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XX-64).

65. დერგი. პირმოყრილი. ფართო ბაკოთი. ოვალური მხრებით. მაღალტანიანი. ვიწროძირიანი. ტანი შემკულია ხუთი რელიეფური თოკისებური სარტყელით, რომლებზეც შემოუყვება წერნაქის ფართო ზოლი. ძირთან ამოკაწრულია V-ს მაგვარი ნიშანი. ზედაპირი ხაოიანია. თიხა მსხვილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად. სიმაღლე 70 სმ, ძირის დმ 12 სმ. კეცის სისქე 10 მმ. №1 ოთახის სამხრეთი ნაწილი. იატაკის დონე (ტაბ. XVIII-65).

66. კოკა. შემორჩენილია ნატეხების სახით. ფორმით ანალოგიურია №№61, 62, 63 კოკისა. ტანი შემკულია წერნაქის წინწკლებით. პირის დმ 5 სმ, ძირის დმ 12 სმ, კეცის სისქე 5-10 მმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XIX-66).

67. ქილა. ფართო და მომაღლო, წიბოებით შემკული პირ-ყელით. მხრებგანზიდული. ყელსა და მხარზე შემოუყვება წერნაქის ფართო, სწორხაზოვანი და

ტალღოვანი სარტყელი. მუცელი შემკულია ანგობის ვერტიკალური ზოლებით, გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. სიმაღლე 34 სმ, პირის დმ 13 სმ, ძირის დმ 14 სმ. კეცის სისქე 8-10 მმ. №1 ოთახის სამხრეთი ნაწილი. იატაკის დონე, დერგთან (ტაბ. XX-67).

68. ხელადა. შემორჩენილია ფრაგმენტულად. პირმოტეხილი. მაღალი, ვიწრო ყელით. მხრებდაშვებული. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ხაოიანი ზედაპირი შეღებილია წერნაქით. ყელი შემკულია წიბოებით. თიხა წვრილმარცვლოვანია. მკვრივი კეცი გადანატეხში წითელი და ნაცრისფერია. შემორჩენილი სიმაღლე 36 სმ, ყელის დმ 4 სმ, ძირის დმ 10,5 სმ. №1 ოთახი. იატაკის დონე (ტაბ. XXV-68).

69. ჩაფი. პირმოტეხილი. სამტუჩა. ყელზე შემოუყვება ორი წიბო. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ზედაპირი წერნაქით შეღებილი და ნაპრიალებია. მხრები შემკულია ორ ფრიზად ერთმანეთისაგან ამოკაწრული ხაზებით გამოყოფილი «თევზიფხური» ორნამენტითა და ხუთფურცელა ვარდულებით. ტანზე ვერტიკალურად დაუყვება წნევით დატანილი ზოლები. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. შემორჩენილი სიმაღლე 61 სმ,

ყელის დმ 7 სმ, ძირის დმ 16 სმ. კეცის სისქე 5-10 მმ. №1 ოთახის სამხრეთი ნაწილი. იატაკის დონე (ტაბ. XXIV-69).

70. ქოთანი. პირგაშლილი. დაბალყელიანი. მხრებდაშვებული. ვიწროძირიანი. ზედაპირი ხაოიანია. მხრები შემკულია წერნაქის საღებავის ტალღოვანი ზოლით. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი მკვრივია. სიმაღლე 12,5 სმ, პირის დმ 9 სმ, ძირის დმ 6,5 სმ. კეცის სისქე 5 მმ. ოთახი №2 (სათონე). აღმოჩნდა იატაკის დონეზე, თონის პირთან (ტაბ. XX-70).

71. ქოთანი. პირგაშლილი. ფართოყელიანი. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ფართოძირიანი. გამომწვარია მოწითალოდ. შებოლილი. თიხა მსხვილმარცვლოვანია. სიმაღლე 20 სმ, პირის დმ 18 სმ, ძირის დმ 18 სმ. კეცის სისქე 8 მმ. ოთახი №4. იატაკის დონე (ტაბ. XX-71).

72. ხელადა. გაშლილი პირითა და ფართო, ქვემოთ დავიწროებული ყელით. ტანი ბიკონუსური მოყვანილობისაა. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ხაოიანი ზედაპირი შემკულია დაუდევრად მოსმული წერნაქის ფართო, ტალღისებური ზოლითა და წინწკლებით. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. სიმაღლე 19,5 სმ,

პირის დმ 8 სმ, ძირის დმ 6 სმ. ოთახი №2 (სათონე).
იატაკის დონე (ტაბ. XXI-72).

73. ხელსაფქვაკვი. ბაზალტის. სამფეხა. შემორჩენილია
ფრაგმენტულად. მასიური. წრიულად ამოკაფული
ზედა ნაწილი ეყრდნობა სწორკუთხა მოყვანილობის
მაღალ ფეხს. ზედაპირი უხეშადაა დამუშავებული.
ზედა ნაწილის შიდა კიდეები გახეხილ-გაპრიალებუ-
ლია _ ნამუშევარია. სიმაღლე 19 სმ, პირის სიგანე 4,5 სმ,
სიღრმე 3,5 სმ, ფეხის სიმაღლე 11 სმ, სიგანე – 12,5 სმ.
ჩატანებული იყო №1 ოთახის აღმოსავლეთი კედლის
წყობაში (ტაბ. XXX-73).

შემოკლებათა განმარტება

იიშ-ისტორიის ინსტიტუტის შრომები

**მსკა-მასალები საქართველოსა და კავკასიის
არქეოლოგიისათვის**

**მსმკი-მასალები საქართველოს მატერიალური
კულტურის ისტორიისათვის**

**სსმმ-ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის მოამბე**

ფსაძ-ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური
ძეგლები

სშაძ-საქართველოს შუა საუკუნეების
არქეოლოგიური ძეგლები

ძმ-ძეგლის მეგობარი

ძქაღძ-ძველი ქართული აგროგრაფიული
ლიტერატურის
ძეგლები

МИА-Материалы и исследование по археологии СССР

ПАИ-Полевые археологические исследования

ЮТАКЭ-Южно-Туркменистанская археологическая
КОМП-
лексная экспедиция

სურათებისა და ტაბულების აღწერილობა¹¹

სურ. I - 1, 2. კ. ლესელიძის ქ. №36-ში მდებარე
ქარვასლის შენობა.

სურ. II. ტყავის ჩიხის №13-ში მდებარე სინაგოგა.

¹¹ XIV-XVII ტაბულები შესრულებულია არქიტექტორ ბ. კუკულაძის მიერ.
დანარჩენი ტაბულები ეკუთვნის არქიტექტორ ნ. ოქრუაშვილს, ფოტოები
გადაღებულია ბ. მაცაბერიძის მიერ.

- ტაბ. I.** ქარვასლა. სარდაფის გეგმა.
- ტაბ. II.** ქარვასლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან გამოვლენილი მრგვალი სვეტი და აგურით ნაგები კედელი.
- ტაბ. III.** დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში, კუთხესთან გამოვლენილი აგურით ნაგები პირველი ორმო.
- ტაბ. IV.** სამხრეთი კედლის საძირკველით ჩაჭრილი აგურით ნაგები მეორე ორმო.
- ტაბ. V-XIII.** ქარვასლის ტერიტორიაზე, ორმოებსა და თხრილებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა.
- ტაბ. XIV.** სინაგოგა და მასში აღმოჩენილი საცხოვრებელი ნაგებობა (გეგმა).
- ტაბ. XV.** საცხოვრებელი ნაგებობა (გეგმა).
- ტაბ. XVI.** ზედა და ქვედა ნაგებობის ნაშთები (გეგმა).
- ტაბ. XVII.** ზედა და ქვედა ნაგებობის ნაშთები (განივი და გრძივი ჭრილები).
- ტაბ. XVIII-XXIII.** ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკა.
- ტაბ. XXIV-XXV.** ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი წერნაქით შეღებილი კერამიკა.
- ტაბ. XXVI-XXIX.** ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა.
- ტაბ. XXX.** ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი მინის, ლითონისა და ქვის ნივთები.

ტაბულები

1





1



2









II


III




объект № 6
разрешение от 1:50





V







VII









X







XII




XIII





XIV





159









XVIII




XIX




61



62









63





66






















69
















56





შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;

თავი I. არქეოლოგიური გათხრები ქარვასლაში;

თავი II. არქეოლოგიური გათხრები სინაგოგაში;

Давид Миндорашвили, Археологические раскопки в старой части города Тбилиси;

David Mindorashvili, Archaeological Excavations in Old Tbilisi;

ქარვასლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კატალოგი;

სინაგოგის გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კატალოგი;

შემოკლებათა განმატება;

ტაბულების აღწერილობა;

ტაბულები.

სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი

Давид Миндорашвили

Археологические раскопки в старой части города
Тбилиси

Тбилиси 2009

David Mindorashvili

Archaeological Excavations in Old Tbilisi

Tbilisi 2009